

ქართული გაზეთი



საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№6 (249)
1-30 ივნისი
2016
ფასი 1 ლარი

გაგონის
თავი ორჯერ



რუსთაველი – 850

ამ წერილით ვინცებთ ჩვენი ეროვნული სიამაყის შოთა რუსთაველის 850 წლის-თავის საიუბილეო კამპანიას.

საქართველოს ხელისუფლებას რატომ-ღაც გაუხეშებული აქვს სასმენელი ჩვენი ეროვნული ღირებულებების მიმართ, რაც იმით გამოიხატა, რომ საიუბილეოდ, არც „რუსთაველის სახლის“ გახსნას აპირებს და არც „ვეფხისტყაოსნის“, მეტნაკლებად სრულყოფილი სახით, სასაჩუქროდ გამოცემას.

რა გაენწყობა.

უნდა მივიღოთ ეს გამოწვევა და რუსთაველის იუბილე გენიოსის უპირველესმა ჭირისუფალმა ქართველმა ერმა ჩაატაროს.

მწერალთა კავშირს დაგეგმილი აქვს არაერთი საიუბილეო ღონისძიება თბილისსა თუ რეგიონებში, რაც ღვთის შეწევნით, ნოემბრის მეორე ნახევარში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გრანდიოზული საიუბილეო საღამოთი უნდა დაგვირგვინდეს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

„შევასწოროთ“ თუ არა „ვეფხისტყაოსანი“

რევაზ მიშველაძე

რეაქსორმოცდაათი წლის წინათ შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“. ამ ხნის მანძილზე გენიალურ პოემას გულდასმით ჩავკირკიტებთ. ერთნი სულიერ სალბუნს ეძებენ მასში, მეორენი კი, ისევ და ისევ „ვეფხისტყაოსნის“ უკიდევანო პოპულარობის გამო, სპორტული ჟინით შეპყრობილნი ჩხრეკენ და ცხრილავენ გაუთავებლივ.

ზოგნი მის ავტორს ფრთებს ატოლებენ, ზოგნი ცალკეულ სტრიქონებს საკუთარი გემოვნების შესაფერისად ასწორებენ.

ზოგნი ქართველთა ამ ხელთუქმნელი განძის შეკვეცა-შემცირების მკრეხელური ოპერაციით გართულან, ზოგნი კი იმდენად კადნიერდებიან, რომ ახალ სტროფებს ამატებენ და მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებსაც კი სთავაზობენ.

საუკუნეთა განმავლობაში ვის ხელში არ გამოიარა შოთა რუსთაველის პოემამ.

ხან გადამწერნი უშვებდნენ ნებსით თუ უნებლიე შეცდომებს, ხან ე.წ. „ინტერპოლატორები“ ასწორებდნენ სურვილისამებრ და განმკითხავი არავინ იყო.

ამ ბოლო სამ საუკუნეში თითქოსდა გონივრული განსჯის საგნად იქცა იგი. ერთმანეთს ცვლიდნენ ვახტანგის, „სწავლულ კაცთა“, ქართველიშვილისეული გამოცემის, საიუბილეო თუ აკადემიური კომისიები, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ტექსტის დადგენა ვერა და ვერ მოხერხდა. ბოლოს საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამ-

დგენმა კომისიამ“ სცადა განესრულებინა ეს ურთულესი საქმე, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო. უფრო მეტიც, სხვა კომისიების (განსაკუთრებით ილიასეული კომისიის) მიღწევებიც კი უგემოვნობის საცერში გაატარა და გააცამტვერა. იმის მაგივრად, რომ აკადემიურ კომისიას იუველირის სიფაქიზით, მეცნიერულის ლამპრით ევლო „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ ლაბირინთებში, მისი წევრების ერთი ნაწილი „არითმეტიკული კვლევის“ გზას დაადგა. ედოთ წინ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და თუ, ვთქვათ, ხუთი ხელნაწერიდან სამში „ვგმობ კაცსა უაუგოსა“ ეწერა, ხოლო ორში „ვგმობ კაცსა აუგანსა“, უფრო სწორად „ვგმობ კაცსა უაუგოსას“ მიიჩნევდნენ და ამ აშკარად მცდარ ფრაზას აკანონებდნენ.

ასე და ამდაგვარად სხვადასხვა გამომცემლობები დღესაც ბეჭდავენ „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებულ ვარიანტებს და მკითხველი კი ამაოდ ელის ჭეშმარიტი მეცნიერის გონებაში გამოტარებულ, მეტნაკლებად მაინც საბოლოო ტექსტს, რომელსაც ენდობა და გაითავისებს.

რას ჰქვია „საბოლოო ტექსტი?“ რასაკვირველია, შოთა რუსთაველის ხელიდან გამოსული პირველწყაროს ადექვატური ტექსტის მომზადება უძნელესი საქმეა, მაგრამ თუ რამდენადმე მაინც მიუზახლოვდებით ავტორის უძვირფასეს მხატვრულ ხელრთვას, საოცნებო რამ გახლავთ, თუმცა სრულყოფილი ტექსტისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით:

საუკუნეთა განმავლობაში რომ ცვლილებას განიცდიდა „ვეფხისტყაოსანი“, ეს სადავო არ გახ-

ლავთ. სადავო ის არის, აქვს თუ არა მორალური უფლება კომპეტენტურ კომისიას „შეასწოროს“ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი აშკარად სადავო ადგილი ტექსტის გაუკეთესების მიმართულებით. რასაკვირველია, ჩვენი მიზანია „ჩვენეული ტექსტი“ „ვეფხისტყაოსნისა“ რუსთაველისეულს მაქსიმალურად დავუახლოვოთ, მაგრამ იქ, სადაც ეს ვერ ხერხდება და არც სათანადო მეცნიერული საბუთები გვაქვს იმისათვის, რომ მავანის მიერ ტექსტის აშკარა შერყვნა დავამტკიცოთ, როგორ მოვიქცეთ? აქ ქართული პოეზიის ტრადიციის მოშველიება და გულდასმით ესთეტიკური დაფიქრება გვმართებს, რაკილა რვაასი წლის განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, ხომ შეიძლება, ასი არასწორი შესწორებიდან ორი მაინც ისეთი ყოფილიყო, რომლის ავტორისეულობის დამტკიცება გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მხატვრულ-მუსიკალურად აშკარად უკეთესი იყო, ვიდრე ესა თუ ის ხელნაწერი გვთავაზობდა? ჩემი ღრმა რწმენით, ასეთ შემთხვევაში კომპეტენტური (ხაზს ვუსვამ) რედაქტორი უფლებამოსილია ენდოს ქართველი ხალხის (ამ მართლაც რომ გენიალური შემოქმედის) ინტუიციას და სწორედ რომ ერის მიერ შესწორებულ-დაკანონებული სტრიქონის მიხედვით „შეასწოროს“ (ოღონდ იშვიათზე იშვიათ შემთხვევაში), „ვეფხისტყაოსნის“ ესა თუ ის ადგილი. მაგალითად: თუ ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს სტრიქონს „ზოგსა გარდაჰკრის მათრახი ქვემკრდამდის გასაპოებლად“, და მხოლოდ ერთადერთ ხელნაწერშია „ზოგსა გარდაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპოებლად“,

მე ვფიქრობ, ჩვენ დავა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა გადავწყვიტოთ.

კანდიდებებში არავინ ჩამომართვას თუ ამჟამად, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 850 წლისთაზე, ფართო მკითხველს და ტექსტის დამდგენ კომისიას დაბეჯითებით შევთავაზებ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტრიქონის ჩემეულ შესწორებას. ამ „შესწორებებზე“ ათეული წლების განმავლობაში, სხვებთან ერთად, მეც ბევრი ვწერე და ამიტომაც მეცნიერული დასაბუთებით მკითხველს ამჯერად აღარ გადავდელი. პირდაპირ საქმეზე გადავალ. თავში სტროფის ნომერს მოვიხმობ, მერე ე.წ. აკადემიური გამოცემის სტრიქონს და ბოლოს ჩემეულ ვარიანტს. თუ ჩემს „რჩევებს“ ისულგულებენ გამომცემელი, ჩემს ამოცანას შესრულებულად ჩავთვლი.

24
არის:
ნუვინ გარევთ ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?
უნდა იყოს:
ნუვინ გარევთ ერთმანეთსა! გესმას ჩემი ნაუბარი!

35
არის:
იგი წარხდების, სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა.
უნდა იყოს:
იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა.

37
არის:
მისივე მეტობს ყვავილთა სული და ტურფა ფერობა.
უნდა იყოს:
მისივე მეტობს ყვავილთა სუნი და ტურფა ფერობა.

50
არის:
რასაცა გასცემ შენია; რაც არა, დაკარგულია!
უნდა იყოს:
რასაცა გასცემ შენია; რას არა, დაკარგულია!

88
არის:
სხვაგან ქნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!
უნდა იყოს:
სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!

93
არის:
ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად.
უნდა იყოს:

ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკერდამდის გასაპობელად.

98
არის:
ამად მიყო სიამისა სიმწართა დანავლლება.
უნდა იყოს:

ამად მიყო სიამისა სიმწართა დანავლლება.

104
არის:
მოდო, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მენამლეო.

უნდა იყოს:
მოდო, ჭმუნვა გამიქარვე, გულის წყლულსა მენამლეო.

162
არის:
განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი.
უნდა იყოს:
ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი.

191
არის:
მას მინდორსა დაემართა, გზა თვალითა გამოსახა;
უნდა იყოს:
მას მინდორსა გაემართა, გზა თვალითა გამოსახა;

247
არის:
ღრუბელიცა ვერ მიხვდების, მე მისრულვარსადა, მი, სად.
უნდა იყოს:
ღრუბელიცა ვერ მოხვდების, მე მისრულვარსადა, მი სად.

349
არის:
იქით და აქეთ მომისხდეს, მახვრიტეს სახვრეტელია;
უნდა იყოს:
იქით და აქეთ მომისხდეს, მახვრიპეს სახვრეტელია;

351
არის:
საწოლის მეკრე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან,
უნდა იყოს:
საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან.

429
არის:
ან ამხანაგთა არ გიგრძნან, წადი, მათთანა მიდი.
უნდა იყოს:
ან ამხანაგთა არ გიგრძნან, წადი, მათთანა ვლიდია.

439
არის:
კაცსა შევეც, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხდეს მზესა.
უნდა იყოს:
კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხდეს მზესა.

555
არის:
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე? უნდა იყოს:
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა გამაგებინე?

582
არის:
მათ გაეხარნეს, ხმამალად იყივლეს: „იპი“, „იპია“.
უნდა იყოს:
მათ გაეხარნეს, შეხლტუნვით იყივლეს: „იპი“, „იპია“.

789
არის:
ვგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატისა.
უნდა იყოს:
ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატისა.

867
არის:
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან.
უნდა იყოს:
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრეფიან.


1589
არის:
ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა.
უნდა იყოს:
ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა.

1583
არის:
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა.
უნდა იყოს:
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეს სიმუხთლე ჟამისა.

აქვე დავსძენ იმასაც, რომ რუსთველოლოგმა მურმან თავდიშვილმა ოთხასგვერდიანი გამოკვეთვა-ბრალდება უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ განუკითხავად შემოკლებლებს, მაგრამ ჯიუტმა „აკადემიკოსებმა“ მურმანის მშვენიერი წიგნიდან („დაფანტული სტროფები“) არც ერთი სტროფი არ „შეინწყარეს და „ვეფხისტყაოსანს“ არ დაუბრუნეს. განა სამართალია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემებში აღარ გვხვდება გენიალური სტროფები: „რა ესმოდის მღერა ყმისა სმენად მხეცნი მოვიდიან...“ ან „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ-ჩავაქარაბაკე...“ ან კიდევ „მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი...“ და ა.შ.

რაც შეეხება „ინდოხატაელთა ამბავს“ მე პირადად, იგი „ვეფხისტყაოსნის“ ორგანულ, განუყოფელ ნაწილად მიმაჩნია. ამ დასკვნის გაკეთების საბუთს მაძლევს ნაწარმოების სიუჟეტის მდინარეობა, რომლის ლოგიკურ ფინალს სწორედ რომ „ინდოხატაელთა ამბავი“ წარმოადგენს და აგრეთვე „ინდოხატაელთა ამბის“ ტექსტუალური შედარება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ნაწილთან.

ნუთუ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის რვაასორმოცდაათი წლისთავის ზეიმზე მაინც არ გველირება „ვეფხისტყაოსნის“ მეტნაკლებად მაინც სრული, სანდო გამოცემა?



გოჩა ხარანაული

პოეტი

მე შენ კი არ მიყვარხარ,
სიყვარულად ვიქეცი –
შენს დარაჯად ვიქეცი!
შენს ფარაჯად ვიქეცი!

მე შენ გული მოგეცი,
შენთვის სული მეთმოება,
ხვალინდელზე გავთვალე
ჩვენი ურთიერთობა...

ამას ჯერ ვერ გაიგებ,
ამას ჯერ ვერ მიხვდები,
ჯერ შენ ღერწმის ღერო ხარ
და ქარისგან იხრები!

და თუ, აღსდგა მაჩვენებელი
ქვეყნის მღრღნელთა ამქარი,
მახსენე და გავჩნდები,
როგორც თავშესაფარი!

ნურც ხმას გამცემ დავიანს,
და ნურც გამიკვირდები,
რადგან ის უკვდავია,
რასაც ვექვითკირები!

მე ვარ შენი გარემო,
თვალე და ყურები!
რადგან უანგარებოდ
მამულს ვემსახურები!

გული რად დამეგმანა?!
მზეა გულის ამინდი!

ყველა გზაზე მე ვდგავარ!
შენ მე,
გვერდს ვერ ამივლი!

ფრთა არ გარიდოს წმინდა სამება,
გაგთენებოდეს ცხრავე ზეციდან!
შენ სივრცეები გეკამკამება,
სხვები გაათბე, შენ კი – შეგცივდა!

სამიზნედ ყოფნას შენ არ უარობ,
შენსავ სიმაღლეს ჯიუტად იმცრობ,
ეს ბედი დაგყვა, უცხო სტუმარო,
შენ უნდა მოგკლან მერე რომ გიცნონ!

მოყვასმა ყველა ხიდი დაგინვა,

ყველა სარკმელზე დაგიშვა ფარდა,
პოეტი ბრუნავს, ვით დედამინა,
და მზის ბოძებულ სინათლეს ფანტავს!

ცოტა სიმაძღრეს მჯობინობს,
ბევრი შიმშილზე ჰკიდია,
მშიერიცა და მაძღარიც
ერთ აბანოში მიდიან.

სიცოცხლე ნიშნავს სიცოცხლეს?
თუ, ჩემო მირზა, ტიცვიან,
რომელი არის რომელი
ეს მხოლოდ მკვდრებმა იციან!

ბრიყვო! ასეა ოდითგან,
გარეთ გვეგონია შიგთავსი,
ამ ქვეყნად რისთვის მოვდივართ?
–სულ ერთი ფრთის გაშლისათვის!

ამოდენ ტყუილ-მართალში
როგორ გავმიზნო სათქმელი?
თუ ელოდება სინათლეს
ბინდი ყოველის თანმთქმელი!

იქნებ პირიქით, ან იქნებ
სულაც პირიქის პირიქით,
შეთხზულ მწვერვალთა გზებს ვიკვლევთ
არარსებული ბილიკით!

მან მოისურვა ვინც მშვა ესეთად,
ბედი მიმზერდეს მუდამ აგდებით,
დაბადებულნი უდიდესებად,
ვთახსირდებით და ვპატარავდებით!

მე იმის მიკვირს, ვინც დრო ჩახერგა,
ვინც ამ სამყაროს ცრემლით იწონის,
ვინც არ იცხოვრა ქვეყნად ნახევრად,
ვინც პური ჭამა მარადისობის!

ვერ შეველიე ჟამთა მოფენას,
თუმც არაერთგზის ფეხქვეშ წავიგდე,
უნდა წავიდე ისევ ლოთებთან!
მართლა ხელიდან უნდა წავიდე!

მერე რა თუ კი შეუჩნდა ეშმა,
თუ გადაბრუნდა გავსილი ჭიქით.
თუ არ დაინდო ჩლიქმა და ეშვმა,
რაც მთავარია კაცია იგი!

მერე რა, თუ კი მტერიც კი უყვარს,
და სიძულვილის არა აქვს...
მერე რა, თუ კი მუდმივად ცოცხლობს,
არ აქვს უფლება სიკვდილის რაკი!

მერე რა, თუ კი ნიადაგ ცოდავს,
და ხშირად ქაჯის აროკებს ბუკი,
არ შეუძლია მოზომოს ცოტა,
თავგანწირვაშიც ხარბია თუ კი!!

მერე რა, თუ კი არ უყვარს პეტრეს,
თვალში არ მოსდის გუგას და გიგის,
თუ ზოგ-ზოგები იცნობენ ხეპრედ,
რაც მთავარია – კაცია იგი!

მერე რა, თუ ვერ იხსენებს ხშირად
არა თუ შენსას, საკუთარ სახელს,
თუ კი სიცოცხლეს ყიდულობს ძვირად,
რომ დაახატოს საკუთარ სახეს!

მერე რა, თუ კი არა ჰყავს ტოლი,
თუ კენტად ცხოვრობს ვარსკვლავთა შორის,
თუ ქედზე ადგას ღალატის ტორი,
ხოლო ხანდახან არ არის სწორი!

მერე რა, თუ კი უთუოდ მოჰკვლენ,
უმაღურობის ტყვიათა რიგით.
იყოს სიცოცხლე წუთივით მოკლე,
რაც მთავარია – კაცია იგი!

ყოველი თავის მთვარისთვის ყმუის!
ყოველი თავის გასცქერის ნავალს!
სიმართლე გითხრა – უღმერთოდ ვსტყუით,
როცა ერთმანეთს ცრემლებით ვნამავთ!

სიმართლე გითხრა – ორ ბატს არ განდობ,
არც შენ მენდობი გრძნობით ნეტარით,
ჩვენ რომ შეგვეძლოს ცხოვრება მარტო,
ერთმანეთს წამით არ გავხედავდით!

ადრე მოველ თუ, დავიგვიანე,
ვერ გავიგე და იმად მტკიოდი.
რაც შეეხება ადამიანებს,
არ გამაჩნია აზრის იოტიცი!

ცხოვრებას უნდა ყოველდღე მკლავდეს!
ვით დაჭრილს მხეცი,
გარშემო მიაღს,
პოეტი უნდა ხატის ყმას ჰგავდეს,
მსხვერპლად თავისი სისხლი რომ მიაქვს!

თმენის სახნისით ვარ დაღარული,
მაგრამ ტკივილმა მაინც გამცა დღეს.
ვიცი, რომ ქვეყნად ყველა ფარული
აუცილებლად უნდა გაცხადდეს!
კაცი – კაცია!
უხმლოდ, უფაროდ,
არც თხაა და არც იხვის ჭუჭული.
თავს მირჩვენისხარ!
მაგრამ, უფალო,
მე ვერ ვიცხოვრებ თვალდახუჭული!

სასჯელიაო სიცოცხლე,
არსთა გამრიგეს წყრომა,
კაცის შიმშილი ჯობია,
არაკაცებთან ძლომას!
და, მაინც ბედნიერია
ადამიანის ჯიში,
ან ეშმას ჰანგზე მღერიან,
ან უფლისა აქვთ შიში...
მოსათრეველი მოეთრა,
წყვილ-წყვილად, არა ცალად,
უნდა დაძლიოს პოეტმა
მიზიდულობის ძალა!
(უცილობელი მონობა
როგორც გსურთ, ისე ფარეთ!)
პოეტი უპატრონოა!
დგას გარიყული გარეთ!

„კულტურული მემკვიდრის საფუძვლის“

ეკა ცხადაძე

სოციალური კვლევების გააქტიურება პოსტიმპერიული ეპოქის მთავარი მოთხოვნაა, როცა კულტურისადმი გულგრილობა იქნის ოფიციალურ სახეს და მისი მარგინალიზაცია უკვე ცუდ ტონად მიიჩნევა. ამავდროულად მოიაზრება კულტურისა და ხელოვნების ფილოსოფიასთან და ისტორიასთან ინტეგრირებული კვლევა, რომლის საუკეთესო ნიმუშებში გაერთიანდა ძველი და ახალი რელიგიური მოცემულობები, არქიტექტურისა და სიმბოლოების ანალიზი, ისტორიულ მოვლენათა რაციონალურ-ირაციონალური აღქმა.

კულტუროლოგიური კვლევის საუკეთესო ნიმუშებად ქართულ სინამდვილეში სოსო სიგუას ნაშრომები მიგვაჩნია, რომელიც მის მრავალფეროვან ინტერესთა შორის ნამყვანი და უმთავრესი გახდა. დაინტერესებული საზოგადოება ერთგვარად განებივრებულიც კია ზურაბ კიკნაძის, სოსო სიგუას, როსტომ ჩხეიძის, ზაზა შათირიშვილის, დათო ანდრიაძის, გიგი თევზაძის კულტუროლოგიური ხასიათის ნაშრომებით. თითოეული მათგანი ქართული კულტურის არქაული ძირების ხელახალი ინტერპრეტაციით მიდის დასახული მიზნისაკენ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყოველი მათგანის ანალიტიკური დისკურსი, მთავარი აზრობრივი ნაკადის გაშლა და განფენა ინტერდისციპლინარულ კვლევათა ასპექტით.


სოსო სიგუა ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ტექსტების სტრუქტურული მრავალპლანობა მათი ესთეტიკური ფენომენის საფუძველთა საფუძველია; ინტუიცია ანგრევს ტრადიციულ ჩარჩოებს და ავტორი მაქსიმალურად უახლოვდება პერსონაჟს, ხოლო მკითხველს შეთვისებულ ჩარჩოთა გადალახვა ავტორთან ერთად მოეთხოვება. ამგვარი უნივერსალურობა ახასიათებს მთელ თანამედროვე აზროვნებას, რასაც კულტუროლოგია ეწოდება.

კულტუროლოგია სიმბოლური დისციპლინაა, რომელიც არსებული მეთოდებით ცდილობს მოიცვას ყველაფერი, რასაც კაცობრიობის მონაპოვარი და სიამაყის საგანი ჰქვია.

ჩვენ ამ შესავლით იმის თქმა გვინდა, რომ სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამტომეული არის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების თანამედროვე დონის განმსაზღვრელი მოვლენა, რომლის თეორიული და პრაქტიკული მხარე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს და შეფასდეს.

„კულტუროლოგიის საფუძვლების“ პირველი ტომი „კულტურის გენეზისი“ 2010წ. (განმეორებით - 2013), მეორე ტომი „კულტურის ტიპოლოგია და უნივერსალიზმი“ 2012წ.; მესამე - „კულტურა და გლობალიზაცია“ 2013 წ. გამოქვეყნდა.

სოსო სიგუამ მიზნად დაისახა თანამედროვე მეცნიერების სამი მთავარი ბაზისის - ანთროპოლოგიის, კულტურის ისტორიისა და კულტურის თეორიის მეშვეობით წარმოდგინა თანამედროვე სულიერი ცხოვრების ურთულესი პროცესები და მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, თუმცა ამით ნამდვილად არ შემოფარგლულა და უხვად მოგვანოდა ლიტერატურული თუ ისტორიული დისკურსები. ამ სამტომეულით სოსო სიგუამ დაგვიმტკიცა, რომ ადამიანის სულიერი მოთხოვნილებების



დროსა და სივრცეში გააზრება, ფარული და ხილული ნიუანსების მონიშვნა, სტატიკური და დინამიკური ტენდენციების გამოვლენა - მართლაც ძალიან ძნელი და მიმზიდველი საქმეა.

პირველი ნიგნი მთლიანად დაეთმო კულტურის გენეზისის საკითხს, მის ქრონოლოგიურობას და ქაოტურობას, რაციონალურ და ირაციონალურ პლასტებს, ევოლუციურ თუ რევოლუციურ განვითარებას, კულტურის და ძალაუფლების ნების თანაარსებობას, სახელმწიფოს წარმოქმნის უმთავრეს ელემენტებს.

„კულტურის გენეზისზე“ დაკვირვებისას ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო გაცილებით ადრეული მონაცემების გახსენება, რადგან სოსო სიგუას ადრინდელი ნაშრომების გაუთვალისწინებლად ვერაფრით შევძლებთ მისი დიდი შრომის სრულყოფილად შეფასებას.

სოსო სიგუამ ქართულ სამეცნიერო სივრცეში მრავალი ორიგინალური და ინოვაციური მიგნებებით დაიმკვიდრა ადგილი. სამაგალითოა მისი გამოკვლევები კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე. ყველასათვის თვალშისაცემია, რომ მწერლის შემოქმედების კვლევა გაცდა ქართული კულტურის არეალს და მკვლევარმა მთელი ევროპული ცივილიზაციის მიღწევების განვრცობა და გამსახურდიას შემოქმედების ამ არეალში მონიშვნა წარმატებით შეძლო. ამით გახდა პროფესიონალებისათვის მნიშვნელოვანი „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, „მარტივი და ალამდარი“, „დევილი ტრიუმფატორი“ და სხვა გამოკვლევები.


ანუ, იმისთქმა გვინდა, რომ სოსო სიგუა სანამ „კულტუროლოგიის საფუძვლებს“ შექმნიდა, მანამდეც კულტუროლოგიის თვალთახედვით უდგებოდა საკუთრივ ფილოლოგიურ პრობლემებს. ეს მის მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია, რამაც იმთავითვე წარმატებულ და მისაბამ მეცნიერად აქცია ჩვენთვის. თანაც ეს მაშინ ხდებოდა, როცა კულტუროლოგიის ხსენებაც არ იყო.

მოვლენათა გენეზისის კვლევისას სოსო სიგუა წარმატებით მიმართავს კულტურულ-ისტორიულ მეთოდს, სხვადასხვა ეპოქის მონაცემებიდან ამოდის და თანდათანობით წარმოგვიდგენს მთლიან სურათს, ერთიან სისტემას, რაც გაჯერებულია როგორც წინამორბედი მოაზროვნეების დაკვირვებებით, ისე საკუთრივ მისი ორიგინალური მსჯელობებით და დასკვნებით.

სოსო სიგუამ ქართული მასალის უხვად შემოტანით და ჩვენი კულტურისათ-

ვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გაანალიზებით დიდი წვლილი შეიტანა ქართულ კულტუროლოგიაში, რომელიც შედარებით ახალი საგანია ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში.

ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებში ტოტემი და ტაბუ გათავისებული და შესწავლილი თემაა, ამ კუთხით მრავალი საინტერესო ნაშრომი არსებობს. ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიისათვის ეს ნაცნობი და ორგანული მოვლენაა. სოსო სიგუას გვერდი არც მაშინ აუვლია ამ თემისთვის, როდესაც კონსტანტინე გამსახურდიას პროზას იკვლევდა ან როცა „ქართული მოდერნიზმის“ ესთეტიკას



გვამცნობდა.

ტოტემისა და საერთოდ ცხოველთა სამყაროს კულტუროლოგიურ ასპექტში აღქმა და სამეცნიერო ანალიტიკაში მოქცევა ძალიან პოპულარულია ევროპასა და ამერიკაში. ყოველმხრივ არის შესწავლილი ცხოველთა და ფრინველთა მითოპოეტიკა - ისინი ოჯახის მფარველებად, ადამიანთა დამხმარე ძალებად, ხელოსნობის დამცველ სულებად გვევლინებიან. ადრე ამას ფოლკლორისტიკა, მითოლოგია, ეთნოლოგია ან არქეოლოგია შეისწავლიდა, მაგრამ დღეს ამას კულტუროლოგია აკეთებს. სწორედ კულტუროლოგიას აქვს პრეტენზია, რომ შეუძლია მეთოდოლოგიურად ამონუროს ყველაფერი - ძველი სახელმწიფოებრივი რეგალიებიდან დაწყებული, ქალთა თავსაბურავებითა თუ კულინარიით დამთავრებული.

„კულტუროლოგიურ საფუძვლებში“ ქრონოლოგიასთან მიმართებით მთელი რიგი საკითხებია წარმოდგენილი, ერთ ფსიქოტიპურ მთლიანობად არის მოცემული ისეთი ირაციონალური მოვლენები, როგორცაა - ტოტემი და ტაბუ, ფეტვი და ქარიზმა. თითოეული მათგანი წარმოდგენილია იმგვარად, რომ ცხადი ხდება ავტორის სწრაფვა მკაცრი სისტემიზაციისაკენ, ყველაფერი დალაგებულია მკაფიოდ მონიშნულ ჩარჩოში. მაგალითისთვის მოვიყვანო ქვეთავს „კანიბალიზმიდან კაცთშენივამდე“, რომელიც რეგლამენტირებულია ასეთი მიმდევრობით:

კანიბალიზმი - მიცვალებულთა დამარხვა - კანიბალიზმის კაცთშენივით რეგლამენტირება - კაცთშენივით რიტუალი - კანიბალიზმისა და კაცთშენივით ალკვითა - სისხლის გამოშვება - ცხოველთვარაკი - იეზუიტური კაცთშენივითა - ბოლშევიკური კაცთშენივითა - სიმბო-

ლური კაცთშენივითა.

ქვეთავში - „კანიბალიზმისა და კაცთშენივით ალკვითა“, ვკითხულობთ:


„სისხლის სმა და უმი ხორცის ჭამა ინვეს კანიბალიზმურ და მხეცურ ასოციაციებს.

ვეგეტარიანელი, წყნარი, მშვიდი, ხიდან ხეზე მოხტუნავე პიტეკანტოპი ჯერ სასტიკი, სისხლის მოყვარულ მხეცად გადაიქცა და შემდეგ დაიწყო მისგან მოაზროვნე არსების ფორმირება ანუ უკუქცევა და სისხლისღვრის რეგულირება, კანიბალიზმის ალკვითა...“

ეს ჰგავს ამდღრეული ზღვის ღელვასა და მრისხანებას, როცა ტალღები ნაპირზე გადმოგდებენ ზედმეტ საგნებს ან ფსკერზე ძირავენ.

შემდეგ ზღვა წყნარდება, წყალი კამკამა და გამჭირვალე ხდება“.

მხოლოდ ამ მონაკვეთზე დაკვირვებით შეგვიძლია შევიქმნათ წარმოდგენა კაცობრიობის განვითარების უწყვეტ ეტაპზე, როცა ცხოველური ინსტინქტები ხან ძლიერდება და ხან ნელდება, მაგრამ არასოდეს ტოვებს ასპარეზს. იეზუიტების და ბოლშევიკების ამ კონტექსტში მოქცევა ძალიან გვიადვილებს



ჩვენი ყოფითი რეალიების ახსნას და ჩვენივე სოციუმის ბუნების გაგებას.

სოსო სიგუა ძალაუფლების ნებას გამოჩვენებდა აკვირდება და ახალიზებს. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ამ საკითხის შესწავლით იწყება ისტორიზმის გამოვლენა ლიტერატურულ ტექსტებსა და ფილოსოფიურ ტრაქტატებში, მაგრამ მას უფრო პრაგმატული მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი, რაც ყოველგვარ ყალბ ინსინუაციებს გამორიცხავს და მოცემულობას წინდა აზრობრივ ჩარჩოში აქცევს. სოსო სიგუა წერს: „კულტურშემოქმედთა უმრავლესი ნაწილი დამარცხებული ან არშემდგარი ლიდერია. ამიტომ იყო კულტურის ნიალი ქურუმების წრე, რომელიც აყალიბებდა შიშიდან, განცვიფრებიდან, ტოტემური და აკრძალვათა სისტემიდან გამომდინარე ღმერთების პანთეონს, ღმერთების სახელით კი - ხელოვნებასა და მეცნიერებას, ცხოვრების წესს, მორალსა და ზნეობას, სქესთა კავშირს, ენას.“

როგორც აღიარებულია, ძალაუფლების ნებას ორი ფაქტორი ქმნიდა - შიში და აღზრდა. სოსო სიგუა ამ ორ კომპონენტს ათავსებს ისტორიის კონტექსტში და მის არეალში მოიაზრებს სახელმწიფოს, როგორც ერთსა და სიმრავლეს. მისი ინტერპრეტაციით, ცოდნა და წვრთნა

არსი და მნიშვნელობა

უნყვეტი უნდა იყოს, სანინაალმდეგო შემთხვევაში კაცობრიობა წარმოუდგენელი სისწრაფით დაუბრუნდება „წინაპართა მღვიმეს“.

მკვლევრის აზრით, ყველა ეპოქაში წამყვანი იყო ძალისა და ინტელექტის ბალანსირება, რაც არქეტიპებისა ფორმების საფუძვლებს წარმოადგენდა. მთელი ეს კანონზომიერება კაცობრიობის ისტორიულ წარსულზე, სოციუმსა და ხელოვნების ქმნილებებზე დაკვირვების შედეგია.

„კულტურის ტიპოლოგიასა და უნივერსალიებში“ ერთ-ერთი მთავარი თემა კულტურის და ცივილიზაციის გამიჯვნაა, რაც ოსვალდ შპენგლერის წარმატების განმსაზღვრელი გახდა გასული საუკუნის დასაწყისში და რომელიც კარდინალურ საკითხად რჩება კულტურის ფილოსოფიაში. ასევე შესანიშნავად არის დიფერენცირებული ხელოვნების ტიპები, კულტურის რელიგიური კუთვნილება, სახელმწიფო და კულტურა, მასობრივი და ელიტარული კულტურები, ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემა.

„კულტუროლოგიის საფუძვლების“ მეორე ტომში განხილული კულტურის იერარქია და კულტურის ცენტრები - რაც დღევანდელი საზოგადოებისათვის უმთავრესი პრობლემაა. ჩვენი თანამედროვე მსოფლიოსათვის განსჯისა და ფიქრის საგანია ის დეჰუმანიზაციის და დეკულტურის პროცესები, რომელიც ღიად და გახსნილად მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის ელიტურობა, მხატვრული ტექსტის ინტელექტუალურ-ირაციონალურობა და რელიგიურობა სოსო სიგუას ადრეულ გამოკვლევებშიც გამორჩეულად აღიქვამდა.

სოსო სიგუას აზრით, ყოველდღიურობა, პრაგმატულობა, მასებზე ორიენტირება აყალიბებს თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას, რომელიც აქტიური განსჯის საგანია და საზოგადოების ცხარე კამათს იწვევს. დახურული კულტურა ვინრო წრის კუთვნილება და მისი ნიშნები უძველეს ისტორიულ ყოფაში მოინიშნებოდა. ამის გათვალისწინებით ეკზოტერული და ეზოტერული კულტურები კაცობრიობის ნაწილებია და დიდწილად განსაზღვრავენ მის სახეს. სოსო სიგუა საგანგებოდ ჩერდება სუბკულტურებზე, მათ იერარქიულობასა და კასტურობაზე, სახელმწიფო სტრუქტურებში მათ არსებობასა და გავლენებზე.

თანამედროვე კონტრკულტურას თავისი ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს და ისიც მკაფიოდ ინდივიდუალურ აქტივობებს მოიცავს. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიზმი, მასებში არსებული მკვეთრად მზარდი უკმაყოფილება კონტრკულტურისათვის სასიცოცხლო ნიადაგია. სოსო სიგუა კულტურათა შინაგან კავშირებზე და ფორმირებაზე ასეთ დაკვირვებას გვთავაზობს:

„საიდუმლო გამოდის სააშკარაოზე, ეზოტერული ცვლის ეკზოტერულს და ახლა იგი ამკვიდრებს კონტრკულტურას.“

ასევე ხდება პოლიტიკურ პროცესებში, ხელისუფლებათა ცვალების ჟამს(მაგ., ბოლშევიზმი, მაოიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი)...

ფორმირების პროცესში ხშირია გადაცდომა, როგორც ერესი ქრისტიანებთან ან მემარჯვენე თუ მემარცხენე გადახრები ბოლშევიზმში: დუღილის

პროცესში მათ ერთმანეთი განწყვიტეს. ამის შემდეგ ჩამოდგა სტაბილობის ჟამი. ბოლშევიზმმა მშობლიური კულტურის ნანგრევებზე დაამკვიდრა ახალი კულტურა, რასაც თეატრალურად მოითხოვდნენ იტალიელი ფუტურისტები“.

ამ მოსაზრებაში ბევრი ახალი თეზაა წარმოდგენილი, მთავარი არის ის, რომ ერთმანეთთან ღრმა შინაგანი კავშირია მონიშნული იტალიურ ფუტურისმსა და ბოლშევიზმს შორის, ქრისტიანულ ერესსა და სოციო-პოლიტიკურ მოვლენას შორის. როდესაც სოსო სიგუა მსჯელობს სუბკულტურის მიერ ტრადიციების შთანთქმის, მის მიერ კონსერვატიულ კულტურაზე გამარჯვების მიზანმიმართულ ხასიათზე, ამით თანამედროვეობის სახეს გამოკვეთს, რომლისთვის თვალის გასწორება ძალიან გვიჭირს.

ისტორიული ფაქტების სიმრავლე, დიდი ცოდნა და ამ ცოდნის სათანადოდ კლასიფიცირება კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის სოსო სიგუას ნაშრომს, მასში ნამოჭრილ პრობლემებს, გამოთქმულ აზრებს და მოყვანილ არგუმენტებს.

მასობრივი და ელიტური კულტურების დეფინიციისას არაერთი მაგალითია მოხმობილი ანტიკური ხანიდან, რენესანსის ეპოქიდან და უფრო ახლო წარსულიდან.

სოსო სიგუა აღნიშნავს: „როცა მასობრივი ერწყმის ელიტარულს, მაშინ იგი იხვეჭს ყველა თაობის, ყველა ფენის სიყვარულს. მაგ., ბიბლია, ყურანი, ჰომეროსის პოემები, შექსპირის ტრაგედიები, დოსტოვესკის, ბალზაკის, სერვანტესის, ლ. ტოლსტოის რომანები, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

მართლაც საინტერესოა, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს საყოველთაოდ მოსაწონი და მისაღები მხატვრული მოვლენები მაღალ მატერიებს და სულიერ პოსტულატებს; ანუ ელიტურ-გენიალური ქმნილებები მასობრივიც არიან და პროფესიულ წრეებშიც საყოველთაო აღიარებას პოულობენ.

ყველა დონის დაინტერესებული მკითხველისათვის მისაღები და მნიშვნელოვანია ქვეთავი „სოციალურ-პოლიტიკური ძვრები და კულტურული მოძრაობა“, სადაც ადამიანების ქცევები, ომები და რევოლუციები, ტექნიკური პროგრესი და გემოვნების ტრანსფორმაციები გაშუქებული. სოსო სიგუა ეხება ერესსა და სკეპტიციზმს, ჯვაროსნულ ომებს, კურტუაზულ იდეალებს, კრიზისებს და მათ როლს კულტურის განვითარებაში.

ქართული ლიტერატურის სპეციფიკებისთვის ახლობელი და ძვირფასია ნიშანთა და სიმბოლოთა ის სისტემა, რომელსაც დიდი ადგილი ეთმობა სოსო სიგუას კულტუროლოგიურ დისკურსში. მითოსური და რელიგიური სიმბოლოები, მცენარეთა და ცხოველთა ტოტემები, ასტრალური და გეომეტრიულ-რიცხვითი მისტიკა მიმოხილულია ლოგოსთან და გრაფიკის თასთან ერთად. უზარმაზარი ინფორმაცია კონცენტრირდა ნიშანთა სისტემაში და მთლიანი სურათი შეიკრა. სოსო სიგუას მრავალმხრივი ინტერესი და ცოდნა ორიგინალური ინტერპრეტაციების საფუძველი გახდა.

სოსო სიგუა წერს: „ადამიანს არ ძალუძს ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა წვდომა, ღმერთს ვერ შეხედავს, მის ბუნებას ვერ განსაზღვრავს.“

საჭიროა შუამავალი, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად აქცევს.

უხეში შედარება რომ მოვიხმოთ, ელექტროენერგია ძალაა, მაგრამ სინათლედ რომ იქცეს, საჭიროა ნათურა. იგი გარდაქმნის ძალას სინათლედ, რომელიც ბნელს გაფანტავს. ასეთი სინათლეა ქრისტიანობის, რომელიც თავისთავში აერთებს ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას, ძალასა და სიკეთეს...“

იესოს, როგორც ძეს ღვთისას და როგორც ახალი წეს-ჩვეულებების, ახალი აზროვნების და კულტურის სიმბოლოს, თავისი ნიშნები აქვს: თევზი, ჯვარი, ლუზა, კრავი, მტრედი და მრავალი სხვა; ამავე დროს ანტიქრისტიანული სიმბოლოების სიმრავლეც მოგვეპოვება: სკარაბეუსი, სვასტიკა, ყოვლისმხილველი თვალი, მხეცის ნიშანი და ა.შ. ყოველივე ეს არის ყოველდღიური ქცევების, ურთიერთობების განმსაზღვრელი საგნები, ჩვენი კულტურის მანძილი. ამ წინააღმდეგობრივი და ოპოზიციური ნიშნების სტრუქტურირება, სისტემაში მოქცევა, ფუნქციების და როლის განსაზღვრა რელიგიათმცოდნეობასთან, ანთროპოლოგიასთან, ეთნოლოგიასთან და სხვა დარგებთან ერთად ყველაზე უნივერსალური მეცნიერების, კულტუროლოგიის საგანია. სწორედ კულტუროლოგიას ხელეწიფება მთელი ამ მონაცემების რანგირება, სტრუქტურირება და ზოგადი ნიშნების სისტემაში მოაზრება. დასავლეთში კულტუროლოგია ანთროპოლოგია სინონიმები არიან და რაც ადამიანს ეხება, ყველაფერი კულტუროლოგიის არეალში ექცევა.

კულტუროლოგია ახალი თაობის აღზრდას სოსო სიგუა გლობალიზაციის მოდელის წარმოდგენით იწყებს, მისი „კულტურა და გლობალიზაცია“, იძლევა ერთიან მსოფლიო მოდელს, სადაც მოიაზრება რელიგიური, იმპერიული, სემიოტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური სახესხვაობანი. ადამიანთა უფლებები და „ახალი მენტალიტეტი“ უსისხლო რევოლუციის ნაწილია თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ნაციონალიზმი პროგრესის მტრად არის მიჩნეული და შესაბამისად გლობალიზაციას აფერხებს. ახლა, როცა ცოდნის მასობრიობა და გაუფასურება განათლების სისტემის უნიფიცირების პირშემა და ურბანიზმი ცხოვრების წესად იქცევა, კულტურათა თანაარსებობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება. სოსო სიგუა აღნიშნავს:

„მასობრივი კულტურის ქაოსსა და ანარქიაში აღარც წიგნი ფასობს, აღარც კლასიკური მუსიკა და კლასიკური ლიტერატურა.“

მატერები კი ცდილობენ გაგვაოცონ ანტიესთეტიზმით, უცნაური ფორმებით, ვულგარული კოლაჟით, რათა ასე ჩარჩინენ ჩვენს მესხიერებაში; მთავარია ვიღაცას ახსოვდე, არა აქვს მნიშვნელობა - როგორ.

ელექტრონული გალაქტიკის ცაზე მრავლდება ჩამქრალი მნათობები. ციმციმებენ ის ვარსკვლავები, რომელთაც აცოცხლებთ ფული და ტაშისცემის ენერგია. მალე ისინიც ჩამოცვივა და ახლები აენთებან.

კულტურა პატივსაცემად მიაჩნიათ იმდენად, რამდენადაც მოემსახურება ცივილიზაციას, რამდენადაც დასჭირდება ურბანიზმის ინდუსტრიას.

ამიტომ ლოგიკური ცოდნის, ისტორიული მესხიერების დაცვისა და გავრცობის სანაცვლოდ ფანტაზია ფალსიფიციურების საშუალებაა.

ტყუილი და მართალი, კარგი და ცუდი,

ყალბი და ნამდვილი, სუროგატი და ორიგინალი ერთმანეთში ირევა და იმარჯვებს ის, რომელიც უფრო ეფექტურად აკმაყოფილებს მდებარე ინსტინქტებს და შესაბამისად - მეტი ფული მოაქვს.

ასე რომ, დადგა ღირებულებათა კოლაფსის ჟამი...“

აბსოლუტურად მისაღები და მართებული მსჯელობაა. გლობალიზაციის თანამედროვე შემოტევის ტემპის გათვალისწინებით, მცირერიცხოვანი ხალხთა ენის შენარჩუნება, ეროვნული კულტურის გადარჩენა თითქმის შეუძლებელი და სათუთაა. ამ საყოველთაო ნიჰილიზმში, ურბანიზმის ინდუსტრიის ზეობაში - ერთადერთ თავშესაფრად ისევ და ისევ ეროვნული თავისთავადობის, კულტურის გადარჩენის პრობლემა დგას.

გადარჩება ეროვნული კულტურა, გადარჩება ერი. ესაა გლობალიზაციის ეპოქაში ჩვენი დღევანდელი მთავარი საჯილდაო ქვა. სოსო სიგუას „ღირებულებათა კოლაფსში“ ნათქვამია:

„საყოველთაო ნიჰილიზმი, ეკლესიასტეს ამოება გზას უხსნის გლობალიზაციას, რომელიც გვირდება უკონფლიქტო, მშვიდ, ტკბილ, ბედნიერ ცხოვრებას. როდესაც კულტურა ცივილიზაციად იქცევა, ისტორიისა და პრეისტორიულ კვლევას პრანისა და უკვდავების წყაროს პოვნას პრაქტიციზმი ყოველდღიური საჭიროებებს დაუპირისპირებს და ადამიანებს მხოლოდ პენსიები და ხელფასები, ან ამინდის პროგნოზი დააინტერესებთ.“

ეროვნული კულტურა უკავშირდება ერის ბედს. ერი კი, როგორც ვთქვით, ქმნის სახელმწიფოს. მაგრამ თუ მივხედით გლობალიზაციის ტალღებს, ერი დაკარგავს თავისთავადობას და სახელმწიფო იქცევა ადმინისტრაციულ ერთეულად, ეკონომიკურ რეგიონად, ყველაფერი იქცევა წარსულად, ისტორიად, რომელსაც მხოლოდ მუზეუმები შეიფარებენ.


ამიტომ გლობალიზაციის ამ შეუქცევად მართაონში ყველა ქვეყანა, ყველა ქვეყნის კულტურა ეძებს თავის ადგილს, რათა არ ჩაიკარგოს და მოდერნიზებით შეინარჩუნოს ნაციონალური მოდუსი, რათა ისევ ჰყვავდეს სიცოცხლის ხე, მწვანე ფოთლებით შემოსილი“.

სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლები“ თანამედროვე რეაღიების გათვალისწინებით შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომია; მისი მეცნიერული ღირებულება მასში ნამოჭრილი და შესწავლილი პრობლემების რეალური არსებობით განისაზღვრება. სამტომეულმა ფაქტობრივად მოიცვა თანამედროვეობის ინტელექტუალური სააზროვნო სივრცე, დადგინდა ქართული კულტურის მიმართება უახლეს ტენდენციებთან; გაიკვია თვითგადარჩენის მუხტის არსებობა და მისი არქაული საფუძვლები; მოინიშნა ძირითადი ტენდენციები გადარჩენისათვის და უახლესი ტენდენციებიდან აუცილებელი განახლების მუხტის მიღებისათვის.

სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლების“ სამტომეული არის სრულიად ახალი სიტყვა ქართულ კულტუროლოგიაში, რომელიც საჭირო და მნიშვნელოვანია არა მარტო სპეციფიკებისა და სტუდენტებისათვის, არამედ მთელი განათლებული საზოგადოებისათვის, ვისაც თანამედროვე სოციო-კულტურულ პროცესებში ძირეულად გარკვევა მართლაც სურს.

2016 წლის 15 მაისი

ყვერუების თანაზიარი



ჭეშმარიტი პოეტი ყველა ქვეყანაში და ყოველ დროს სამშობლოქვეყნის მოჭირნახულეა, გულშემატკივარი და საკუთარი სიტყვით ერისთვის გზის გამკვალავი. ასეთი პოეტი ხრისტო ბოტევი, ბულგარელი გმირი და კლასიკოსი, რომლის ლექსებში გამჟღავნებული სიყვარული, თავისუფლების წყურვილი და სამშობლოს ბედის გამო ტკივილი ჩვენი ქვეყნისთვის, საქართველოსთვისაც ახლობელი და უპირველესია. 140 წელი შესრულდა მას მერე, რაც 28 წლის ჭაბუკმა პოეტმა სამშობლოს თავისუფლებას შესწირა თავი. ამიტომაცაა 2 ივნისი, მისი გარდაცვალება დღე, ბულგარელი ერისთვის თავისუფლების დღესასწაული.

ყველა პოეტი წინასწარმეტყველია. ასეთი იყო ხრისტო ბოტევიც: მაგრამ მე ჯილდოდ ისიც მეყოფა, რომ ჩემზე იტყვიან ოდესმე ხალხი, „გმირულად მოკვდა, თავი შესწირა, სიმართლესა და თავისუფლებას“.

ხრისტო ბოტევის სახელი და მისი პოეზია იმდენ საუკუნეს იცოცხლებს, სანამ ყავლი არ გაუფა კაცობრიობის ამ ორ სიტყვას – სიმართლე, თავისუფლება.

დიახ, ამ სიტყვებთან ერთად უკვდავია ბულგარელი კლასიკოსი ხრისტო ბოტევი. სწორედ მის ხსოვნას და საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავს მიეძღვნა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოში ბულგარელთა კავშირ „ალორძინების“ თაოსნობით.

საღამოს ორგანიზატორია – ევგენია დიმიტროვა.

საღამოზე წარმოდგენილი იქნა ხრისტო ბოტევის ახალი, ორენოვანი, ქართულ-ბულგარული პოეტური კრებული, რომელშიც გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეების თარგმანებთან ერთად მაყვალა გონაშვილის თარგმანებიც შევიდა.

საქართველოში მცხოვრებ ბულგარელთა სახელით, მაყვალა გონაშვილს გადაეცა „პაისია ხილენდარსკის“ სამახსოვრო მედალი, ქართული მწერლობის სასიკეთოდ ღრმადკეთილშობილური მოღვაწეობის, ხრისტო ბოტევის ლექსების თარგმნისთვის და ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავებისა და ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების კულტურული თანამშრომლობის გაფართოებისა და განვითარების გზების ძიებისთვის.

საღამოზე ლექსები წაიკითხა 13 წლის პოეტმა ალექსანდრა ქსოვრელმა.

ტრენით საესე სტრუქტურები

ნიგნი გამოცემულია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო მხარდაჭერით და დაფინანსებით, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ბატონ გელა დუმბაძეს.

ასევე აღსანიშნავია საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჰერედი ახალგაზრდების თანადგომა.

აი, მკითხველო, შენს წინ გადაშლილა პოეტ ზურაბ პაპიაშვილის ლექსთა კრებული „შენით და შენთვის“ და როცა ლექსებს გადაიკითხავ, მიხვდები, რომ ის ერთადერთი, ვისთვისაც სანთელივით იწვის და იღვენტება პოეტის სული, საქართველოა, – ჰერედიდან მონაფერები სამშობლო.

მე ყოველთვის ასე მნამდა, დღესაც ასე მნამს: ჩემს საფიცარ ცას და მიწას ვანაცვალე თავს.

ზურაბ პაპიაშვილის ვაჟკაცური ხმისა და რწმენისთვის უცხოა სიცრუე და მიეთ-მოეთი. სიმართლისთვის მებრძოლი პოეტი აკი ბრძანებს:

„ავად მიცნეს, ვერ მიგუეს სიმართლისთვის მეომარი“.

ვფურცლავ სიმართლით, სიყვარულითა და რწმენით საესე წიგნს და ვფიქრობ, ღმერთო, ისეთ საქართველოში მაცხოვრე, ზურაბ პაპიაშვილს რომ უნატრია, ისეთი თავდადებული, წრფელი და კეთილშობილი იყოს ყველა ქართველი, ზურაბ პაპიაშვილს რომ ესახება.

თავად ვინაა ამ წიგნის ავტორი? ამ კითხვას პოეტი ასე პასუხობს:

სამშობლოს თავდადებული ვარ ერთი ვინმე ჰერედი.

მკითხველის სიყვარულს და სამშობლოს ერთიანობას ვუსურვებ ზურაბ

პაპიაშვილს ამ რწმენით საესე სტრუქტურების ავტორის.

ზურაბ პაპიაშვილი

(ქართველო ხელი ხმალს იკარ! დღე გათენდა დიდებისა. თოფ-იარაღი აისხი, დრო დადგა გამარჯვებისა!)

„ქართველო ხელი ხმალს იკარ!“

ვიდრე საქართველო არ ქცეულა ტროად,

ვიდრე აქილევსი არ მოგვიკლავს ჰექტორს,

ქართულ სულს და სინდისს – ქართველობის ვექტორს.

ჰე, ქართველო, დროა! სანამ გული გულობს,

სანამ ყოფნის უინი ზეგობს და დიდგულობს,

სანამ ქართულ გულში დიდგორი დიდგორობს,

ბასიანი ბრწყინავს და კრწანისი გმინავს.

წინაპართა ხსოვნა სანამ არ გამქრალა

ქართველობის მადლი, ქართველობის ძალა.

გაიხსენე ძველი ჭრილობები ძმაო – ნაშლილი ჰერედი, ნაგლეჯილი ტაო. ფერეიდნელ ძმების ცრემლიანი მზერა,

ოთხი საუკუნე უსამშობლოდ ფრენა. ტაო-კლარჯეთელთა გულსატკეპნი ძღვევა,

ქედუდრეკელ ჰერთა „ინგილოდ“ მოქცევა.


არ გვაკმარა მტერმა უღმობელი რბევა,

ნასაგლეჯად უკვე სხვებიც დაიბევა. სამაჩაბლოს ვკარგავთ,

ავზაზეთსაც, ვაგლახს! ჩვენს უნიათობას უჭკუობაც ახლავს.

ჰოდა, რუსთაველი ჩვენი სიბრძნე თუა,

გვიჭირს, ახლა მაინც მოვიკრიბოთ



ჭკუა, დავივინყოთ წყენა, ერთად დავდგეთ, დროა, ვიდრე საქართველო არ ქცეულა ტროად!

ჩემი არჩევანი

გულში ავინთე სანთელი შვიდი. უპირველესად სიმართლე დიდი, შემდეგ იმედი და სიყვარული (სიძულვილის რომ არ მქონდეს რიდი). მას მოჰყვა ძმობა და ერთგულება, (ჭეშმარიტება აქ მეგულება).

სიკეთე – ქველი და სათნოება, (რომ გავუმკლავდე ამაოებას). სულში ავინთე სანთელი შვიდი და გადავჭიმე ცარგვალზე ხიდი. მე არ მჭირდება მანტია ფლიდის და არც ცხოვრება მონურად მშვიდი.

სიცოცხლე, ჩემი გზამკვლევი მიდის, მივდევი ნაბიჯის ვერშენელებით, სულში მინთია სანთელი შვიდი და ვერცერთ მათგანს ვერ შეველევი.

სუბურად არგნეთის სკოლაში

„1989 წელს, როდესაც წარმოიშვა ოსურ - ქართული კონფლიქტი, ერგნეთის ბავშვები სწავლობდნენ ცხინვალის ნომერ პირველ სკოლაში. ვინაიდან კონფლიქტის გამო, ბავშვებს შეუწყდათ სწავლა, გადავწყვიტე ერგნეთში გამეხსნა სკოლა, რისთვისაც თითქმის ყველა ინსტანცია მოვიარე. სკოლა გაგხსენი ამ ადგილას მიტოვებულ ვაგონებში, ხშირად ტყვიების ზუზუნში გვიხდებოდა სწავლა. ბევრი ვიბრძოლეთ, რომ სკოლა აგვეშენებინა. ბოლოს შევიცარიელებმა აგვიშენეს სკოლის კორპუსი. 2008 წლის ომის დროს, ისევ დაცხრილეს და გაძარცვეს სკოლა. ქართველი მწერლების სურათებს ტყვიები დაუშინეს. სკოლა კვლავ აღსადგენი ვახდა, რამაც დაგვეხმარა ფირმა „პირამიდა“, რომელიც თანამშრომლობდა საქართველოს ბანკთან. აქ რომ სკოლა არ აგვეშენებინა, ისედაც დაცლილი სოფელი უფრო გაუკაცრიელდებოდა. ტერიტორია დანაღმული იყო და ასეთ სიტუაციაში გვიხდებოდა მუშაობა. დავინყეთ 23 მოსწავლით. სწავლა რომ დავინყეთ, სახელმწიფო დროშა აღვმართეთ, რომელიც ცხინვალის მხრიდან ტყვიებით დაცხრილეს. არ შევშინდით და ვაგრძელებდით მუშაობას. ახლა 60 მოსწავლე გვყავს. ალბათ ეს რაოდენობა გაიზრდება. მთავარია, რომ სკოლა შევინარჩუნეთ და სოფელი დაცლას გადაარჩა. მთავრობაც შეძლებისდაგვარად გვეხმარება.“


ძალიან რთული გზა გავიარეთ, მაგრამ სოფელი დაცლას გადავარჩინეთ.“ – ერგნეთ – მამისაანთ უზნის სკოლის დირექტორის მედეა ტრამაკიძის ამ სიტყვებში რამდენი ტკივილი, ცრემლი და თავდადებაა ეს მხოლოდ მტრის მიერ ხელოვნურად შექმნილ საზღვრებთან მცხოვრებლებმა თუ იციან.

23 მაისს ერგნეთის სკოლაში სტუმრად ჩასულმა ქართველმა მწერლებმა ციციანო ბაბუციძემ, ირინე გოჩაშვილმა, გელა სულაძემ, იოსებ სიბოშილმა, ია სულაბერიძემ, ბადრი ქუთათელაძემ იგრძნეს ამ ტკივილის სიღრმე. პოეზიის საღამო გამორჩეულად თბილი და სევდიანი იყო. მოსწავლეების

ნიჭიერებამ ალაფერთოვანა სტუმრები. საღამოს უძღვებოდა სასწავლო წლის დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრობისთვის და საინტერესო წიგნებისთვის. ასევე მადლიერებით მოიხსენია სახალხო მკურნალი, ქველმოქმედი ანზორ ჩლაიძე, რომელიც ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო.

სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა მემორიალური დაფა და დაჰპირდნენ სკოლის მოსწავლეებს, რომ ამიერიდან მწერალთა კავშირის მიერ გამოცემულ ყველა წიგნს უსახსოვრებენ ერგნეთის სკოლას.





თენიჭი
ჩხაიქა - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თენიჭი ჩხაიქა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო თენიჭი!
ჩვენო ერთგულო და

ნაცადო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან დახვეწილი გემოვნების მქონე ნატიფ შემოქმედს, მამულიშვილს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1972 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი „მართალი წიგნი“. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეეთ. თქვენი ნაწარმოებები - მოთხრობები, რომანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული თარგმანები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ ჩინებული კრიტიკოსი ბრძანდებით. ღრმა ანალიზის უნარით, გემოვნებით, ფართო თვალსაწიერით, თანამედროვე ქართული პროზის განვითარების ძირითადი ტენდენციების ობიექტური შეფასებით გაჯერებული თქვენი ლიტერატურულ კრიტიკული წერილები ქართული მწერლობის აღიარებულ მეტრებზე, ისეთებზე, როგორც იყვნენ და არიან გრიგოლ რობაქიძე, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, რევაზ ინანიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, რევაზ მიშველაძე, ლადო მრელაშვილი, ზაირა არსენიშვილი, ჯემალ ქარჩხაძე, რეზი თვარაძე, გურამ ასათიანი და სხვები, ნათლად მეტყველებს, რომ თქვენი სახით თანამედროვე ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას მნიშვნელოვანი კრიტიკოსი ჰყავს. აქვე უნდა აღინიშნოს თქვენი წერილები მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებზე (უილიამ ფოლკნერი, ერნესტ ჰემინგუეი, შტეფან ცვაიგი, ალბერ კამიუ, ერიკ მარია რემარკი, ალექსანდრე სოლჟენიცინი...).

არაერთი მწვავე პუბლიცისტური სტატიის ავტორი ბრძანდებით, რომლებშიც სიღრმისეულად, გამოწველილ-ვით ასახავთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ხმალამო-ლებული იბრძვით ქართული ენის სინამდის დაცვისთვის. ამ სტატიების კითხვისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ მათი ავტორი ამ ქვეყნის ერთი გულმდუღარი ძირისუფალი და ჭეშმარიტი ერისკაცია.

თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი პირველხარისხოვანი მხატვრული თარგმანი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკისა. თეოდორ დოსტოევსკის „თეთრი ლამები“, „მარადი ქმარი“, და „მკვდარი სახლის ჩანაწერები“, ჩინგიზ აითმათოვის „ჭრელი ძალი, ზღვის პირს ადევნებულნი“, ჟორჟ ამადუს „მენამული ყლორტები“, აგრეთვე ბიოგრაფიული რომანები - არმან ლანუს „მოპასანი“, ბორის გრიბანოვის „ჰემინგუეი“ და „ფოლკნერი“.

თქვენი მრავალწინაგოვანი შემოქმედებითი ნიჭიერების კიდევ ერთი მშვენიერი დასტურია ის წვლილი, რომელიც შეგაქვთ თანამედროვე ქართული პროზის წინსვლაში. თქვენი რომანი „სტუდენტობის ხანის ზღაპარი“ და არაერთი მოთხრობა, რომლებშიც ჩვენი თანამედროვეობა აღწერილი მისი ავკარგითა და შუქრდილებით, ბოროტისა და კეთილის სამკვდრო-სასიცოცხლო მარადიული ბრძოლით, ქართველი მკითხველის მონონებით სარგებლობს.

აქტიური საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. ათწლეულები შეალიეთ ქართული წიგნის გამოცემასა და პოპულარიზაციას. სხვადასხვა დროს მუშაობდით საქნიგნის სამმართველოს განყოფილების გამგედ, წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქნიგნის“ მმართველის მოადგილედ, გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარ რედაქტორად და შეიძლება ხმამაღლა ითქვას: თქვენი დამსახურებაცაა, „ნაკადულში“ მხოლოდ ჭეშმარიტად ფასეული საყვანვილო წიგნები რომ გამოდიოდა.

თქვენი მრავალწინა, მეტად ნაყოფიერი და ტევადი მოღვაწეობა ნიკო ნიკოლაძის პრემიით აღინიშნა.

ჩვენო თენიჭი!
კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ სახელოვან საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს გაბრწყინებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ვაჟა ეგრისელი - 75



75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა ეგრისის ძე ეგრისელი (დოლბაია). ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვაჟა!
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ პოეტსა და მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1967 წელს შედგა, როდესაც ხობის რაი-

ონულ გაზეთში გამოაქვეყნეთ ლექსი „დედა“. მას შემდეგ თქვენი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „ამაღლება“ „ნათელიღვა“, „საგალობელი“, „სიცოცხლე“, „უწაპრობა“, „აისბერგები“, „მოლოდინი“, „შეიბნ მახვილი“, „იქმენ ნათელი“... ცალკე აღნიშვნის ღირსია „კოლხური ფსალმუნები“, ხუთ ტომად რომ გამოიცა და ოცი ათასზე მეტ ლექსს შეიცავს. სამშობლოს ერთგული რაინდი ბრძანდებით და რა გასაკვირია, თუ თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ცეცხლნაკიდებულ, ბრიალა მაცვლის ბურქთან გარინდებულა და სასწაულს ელის. ამ სასწაულს კი თქვენი ქვეყნის, ქრისტესავით ჯვარცმული საქართველოს გაბრწყინება ჰქვია...

თქვენი პოეზია უხვადაა დახუნძლული პოეტური ხილვებით, სახეებით, მეტაფორებით; დრამატიზმითაა და მუხტული და ამიტომაც ეცნობიან მას ინტერესით უკრაინაში, რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ინდოეთში, მონღოლეთში, ბელორუსეთში...

თავადაც აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეეთ და არაერთი უცხოელი პოეტი გააცანით ქართველობას. დიდ და ტევად საზოგადოებრივ

მოღვაწეობას ეწეეთ. იყავით გამომცემლობა „მოლოდინის“ გენერალური დირექტორი, რედაქტორობდით გაზეთებს - „ამაღლებას“, „აკადემოსს“, „ქალდეას“... არჩეული ბრძანდებით საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტად, საქართველოს ეროვნული აკადემიისა და ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, საქართველოს განათლებისა და საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა, ვარძიის, „აიას“ აკადემიების ნამდვილ წევრად.

მონიჭებული გაქვთ ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები, ქართული პოეზიის რაინდის წოდება. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, ქართული კულტურის დესპანის მედლით, „დიოსკურია-2005“-ის მშვიდობის ოქროს ვარსკვლავით.

გვახარებს, რომ დაიწყო თქვენი ფსალმუნების მრავალტომეულის გამოცემა (უკვე ორი ტომი გამოიცა).

ბატონო ვაჟა!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ-ახალ შემოქმედებით მიღწევებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ვაჟა ეგრისელი

კოლხური
ფსალმუნები
(ქალდეელები)

ხილვა: ბურნაბური და
ქალდეელები

მძინვარ ათასწლეულებს - წარღვნა ერთურთს მიაშლის, ზეციდან რომ დაეშვა და... ვჭვრეტ ქარდუნიაშის სამეფოს და მეფეებს: ბერნაბურს და ქალდეეებს.

კრიტიკა და ური

სიცოცხლის ხე შრილებდა, ყოფნა იყო საამური და ჰყვოდა კიდით-კიდე, ქალდეელები ქალაქებით: ნიბურ, ერილუ და ური.

გაზაფხული

ბალახი კი დედამინას, მოუშვია, ვითა წვერი და კითხულობს მონუსხული - მელნით ნანერ ცას მხედრულით და ნუსხურით, ისე, ვითა, ქალდეელები „წმინდა წერილს“.

ქალდეესა და აქადებს

არვინ იცის რამდენი მკვდარი ათასწლეული წევს იქიდან - აქამდე! მხოლოდ ისლა იციან, რომ ერთი ცა ეხურათ ძმებს - ქალდეებს და აქადებს.

ქალდეას და ქალაქ
ურის

ბაბილონის შენებაში, თავი აღარ დაიბერეს, ჟამი ედგათ საამური - ქალდეელებს და იბერებს, ქალდეას და ქალაქ ურის.

ხილვა: ადამი და ევა

ჟამმა ჩემი წინაპარი - შვიდი ათასწლეულის უღრანებში მიმალა... და... მაინც ვჭვრეტ: ადამს, ევას, ქალდეადან - კოლხეთისკენ, ევესინის ზღვით მიმავალს.

ზევისიც, ჰერაც,
დიონისაც

ამირანის ოხვრა ისმის და ჰეფესტო გალემილი ეძალება ღვინოს ისევ... კოლხურ „ტაბაკს“ მისხდომია: ზევისიც, ჰერაც, დიონისაც.

ქრისტე და აბრაამი

რადგან იყვნენ ურიდან, ამიტომ ჰურიათა, ამაოა მცდლობა, ისე, როგორც აბრაამის, წყალი აღარ გაუვა, ქრისტეს ქალდეელობას.

ხილვა: კოლხები და
ქალდეელები

ვინც ორ წარღვნას გადაურჩა (აქეთ-იქით, ელე-მელე), და ცოცხალი ვინც გადარჩა, ვხედავ: კოლხებს, ქალდეელებს, სხვა ხალხი კი, იმ დროს არ ჩანს.

კირკე - ნანა -
რეა - კიბელა

მკვდარი ათასწლეულთა თქმულებებს და ლეგენდებს, მიდის და კვლავ მიბეღავს... ისე, როგორც „სამება“, ერთადაა სამივე: კირკე - ნანა - კიბელა.

ხილვა: ენძი და
ზისუდრა

კაცთა მოდგმის გადარჩენის, არ უტოვებს ღმერთი იმედს. და ცა შავად შეისუდრა. ვხედავ წარღვნის მომლოდინე: იქ - ენქის და აქ - ზისუდრას.

ქალდეებს და
ქარდეებს

პოეტ შერმანდინ ქალდანს, ჟურნალისტ ანა ქარდავას

დიან ასწლეულები და ავლებენ ჩემს კოლხეთს, ლეგენდების არშიებს... დროს მზის გვერდზე ართავენ... ხუთათასწლეულის სიმორიდან ქალდეა, უხმობს თავის ნაშიერს: ქალდეებს და ქარდავებს.

ხილვა: იტალია,
მისამე ათასწლეული

მეფობს სული კოლხური, იბერია - გალური, და სხვებს ველარ ირევნ. (გზებიც გაიიოლეს). იტალიის შუა გულში ვჭვრეტ: საბელებს, ტირანებს, პელაზგებს და იონელთ.

ცა და მთვარე

ეზოთერიკული ბილიკებით ღამეს სიჩუმეში მოჰყავს ჩხანა, მამლის ყვილმა ვერ გაათენა. შორით ცა და მთვარე ისე ჩანან, თითქოს ზევსს ძუძუს აწოვებს ამალთეა.

არ ჩანს მოსე

„და როგორც მოსემ აღმართა სპილენძის გველი უდაბნოში, ასე უნდა აღმართოს ძე კაცისა“.

(იოანე 3, 11)

აქ - აფსუა, და იქ - ოსი! კვლავ ესობა მტრობის ხმალი ვადამდე! არ ჩანს მოსე! და არც „სპილენძის გველი“, რომ განკურნოს ქართველთა სიავადე!!!

ბრაალსა და ეფუთის

თქმულების და ლეგენდის - აბრეშუმში შეფუთვნილს, საიდუმლო ბეჭედი - ქალდეური ადევს მზის: „გრაალსა“ და „ეფუთის“ და ხევსურულ „ადრეზის“.

მათიკო

მანანა გიუაშვილი

ისეთი შავია „ოტელო“, ექვსი საათის შემდეგ აღარა ჩანს. ნათელი გონება, არშინი და კბილები აქვს. „პერესტროიკამდე“ ეკონომისტი იყო წარმოებაში, მერე ქსოვილის მაღაზია გახსნა ვერცხლის ქუჩაზე. ბედს არ ემდურის, ორი ვაჟი და თუთიყუში „მათიკო“ ჰყავს. გათენდება და აჩხავლდება ფრინველი.

ფოფან... ფოფან... ფოფან... გლია. იციან, ოტელოს იმპორტული აქვს რაღაც. ბასილაც „პრომოზია“.

რა გაქვს, შალვა, ფოფანგლიდან? ინგლისური საპალტოვე. ტრია, ტრია, — თავს იკლავს მათიკო. ტრიადან?

ავსტრიული ტრიკოტინი. მათიკოს მწვადზე და „ალადსტურზე“ უნდა ინახავდნენ. უფასო რეკლამაა! დილიდან თუ ხმას არ იღებს, ქანაობს — დასჯილია, რაღაცის თქმისა ემინია.

რა გაქანავებს, შე საცოდავო, — შეუცაცუნებს თინა, სული ელევა, მანამ მათიკო ინფორმაციას ჩამოკენჭავს.

„აბაჟურია“ და ქანაობს, — შეუღერნს თინას ოტელო.

აბაჟური კი არა, „პლუშის“ თავი აქვს მაგ ფრინველს.

თქვენს გამხმარ ეკოლოგიას მიხედვით ჩემი გამხმარი ეკოლოგია, ყველას პირში სავლები არ გახლავთ.

გავგიჟდი... გავგიჟდი... — ჩხავის თუთიყუში.

გავგიჟდები შენი პატრონის ხელში, აბა რა! სერიის საყურებლად თავს გამოყოფს თუ არა ამალია, სამველას ბოქლომი გაჩხაკუნდება და ამალია ჩაუღლირებს:

„შენი მაიმუნი სახე, მუშათაიდის ბაღში ვნახე.“

ვაი, ისე შემეშინდა, „ზადნი დვორით“ ავიფახე!

მეტი კი ჩამოგექცა „მალატოკა“ თავზე, — მიანყველის ამალია.

ამალიას და სამველას ძველი ანგარიშები აქვთ. ერთხელ, საპარიკმახეროში, ამალიამ მდულარე წყლით ისე დაუფუფუქა თავი სამველას, მთელი კვირა სენიორ რობინზონივით ყურებგასიებული იჯდა, ეგ არაფერი, ვილაცას ეთქვა, ბავშვის შარდი კარგიაო, უბნის ბავშვები მთელი თვე თავზე აშარდავდნენ, კიდევ კარგი ტვინი არ დაუწვს!

ამასობაში ელიოზის პეკინეზი „კვანწო“ გამობრძანდება სასაირონოდ.

ახალი რა არის, ბატონო ელიოზ? — ჩაეკითხება ამალია, აქოდა გულზე გასკიდი სამველა, „პრაფისორს“ ველაპარაკებო.

ფარაონს ქალი დაუორსულდება. ხუმრობთ, ბატონო ელიოზ, სადღა ფარაონები?!

არა ბატონო, ფარაონ მუმოსს, ქალიც პატარა მუმოსს გააჩენს.

უყურადღებობით გულმოკლული მათიკო ცქმუტავს.

ფაანარი, ფაანარი!

სად დაინახე ფანარი, დედაკაცო?

აი ფანარი — სერგოს ბიჭი დაუქორწავს და დილაუთენია საზოგადოებრივ გაკაცხვას უწყობს. — მეგონა შეილი „გავაკეთე“, ვეცადე არაფერი დააკლდეს-მეთქი, მარჯვენა თვალთან ფანარი სჭირდებოდა, სპორტული სამოსზე მოუნდა! — ჩააფანარეს! გიხდება, კარგად მოუქარგავთ, როდის უნდა ამოგივიდეს ტვინი?!

ნაიყვანეთ ფრინველი! გაუშვით! გაყიდეთ! დამაძინეთ! დილაუთენია მიტინგი ვის გაუგია?!

ნეტა ზელანდიაში ხალხს სძინავს?!

რატომ არა?

აქ ერთი მათიკო იკლებს ეზოს, იცით, რა მწვანე ქვეყანაა ზელანდია? თითო ხეზე ბარე ასი თუთიყუში ცხოვრობს, ხალხს როგორღა სძინავს?!

აბა, იქ იქნება ჭორაობა, აი!

გავგიჟდი, გავგიჟდი!...

რამე ხეირიანი სთქვი, „სტერეო“ ხარ? გიჟი ამალიაც გვეყოფა.

გიჟი არა ხარ, ქუსლზე იმხელა ლურსმანი დაგორტყამს, კბილებთან მაჭერს!

რომ გაჭერს კარგია, ფხიზლად იქნები!

ამასობაში ეზო გაიკრიფება. მათიკო, სამველა და პატარა საბა დარჩება არემარეზე. მემანველ სამველას მანონს დაუტოვებს, მემწვანელი კალათებს ჩახედავს, შეიძლება წერილი დაუტოვებს, მწვანელი სჭირდებათ. შოთა ფოსტალიონი გაზეთებს დაარიგებს,

სამველა ფოსტალიონს მანონზე დაპატიჟებს. ფოსტალიონი მეათასედ შეეკითხება მენალეს.

თოფიდან მეტრზე სანტიმეტრი რომ მოიპაროს ოტელომ, რა თანხის „ფოდრატია“, დეგენაცვლე?

„დღე, როგორც მსურდა, ისე არ შედგა...“ – გულისტკივილით ვამბობ შვილებისადმი მიძღვნილ ერთ პატარა ლექსში. რას ვიზამთ, ბევრი რამ საწუხარი გვხვდება ცხოვრებაში, მაგრამ ვფიქრობ, უფრო დასანანი არაფერია, ვიდრე ისეთ ადამიანთაგან შორს ყოფნა, წესით მოძღვრად რომ უნდა აგერჩია... სოფელი ქრელია, ცხოვრება – რთული, ბედისწერაც თავისას მუშაობს – მით უფრო, რომ ისეთი საბედისწერო არაფერია, როგორც ლექსის მსახურება. ამ ბენვის ხიდზე გავლისას ძალიან გჭირდება ქვემარტივი საღვთო ნიჭით მორწმუნეობის პროფესიონალი, სანთელივით რომ შესწირვია ხატოვან სიტყვას. სინანულიც ამიტომ ისმის ჩემს სტრიქონებში: „მაესტრო, ლექსის დიდოსტატო, ბატონო მურმან, მერე ერთგვარად დაგვაშორა ცხოვრების ბრუნვამ“... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბატონი მურმანი არ დამიკარგავს, ვერც დავკარგავდი, იმიტომ რომ ჩემს ცნობიერებაში იგი სამუდამოდ დარჩა არა მხოლოდ როგორც ლექსის დიდოსტატი, არამედ როგორც გულშემატკივარი მთელი ქართული პოეზიისა, თავგადაკლული ქომაგი და მცველი ამ უდიდესი ეროვნული ღირებულებისა. შემიძლია ვთქვა, რომ, მურმან ლებანიძის გარდა, არ მინახავს სხვა რომელიმე პოეტი, რომელიც ასეთი გულისხმიერებით ხვდებოდა ახალი გვარ-სახელის გამოჩენას ჩვენს ლიტერატურაში.

ბედის ნებიერი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ბატონ მურმანთან შეხვედრას მაინც იღბალს მივანერ და ვაღიარებ, რომ ზოგჯერ ნამდვილად მიმართლებდა. დიახ, თუ არა გამართლება, სხვა რა შეიძლება დავარქვა იმ ფაქტს, რომ ასეთ გულისხმიერადამიანს შევხვდი. ამ გზის დასაწყისში, საითკენაც ნებსით თუ უნებლიეთ ხშირად ვიყურები ხოლმე, უპირველესად სწორედ მას ვხედავ, მისი გამამხნეველები ღიმილი მახსენდება... მახსენდება და ჩემს თავზე მეცივნება: რა ძია კაცი იყო მაშინ ჩემთვის ეს სულ რაღაც ორმოციოდე წლის (სამოციანი წლების დასაწყისია!) ადამიანი და როგორი ახალგაზრდა ჩანს ახლა, უკვე ხანმოთუული ქალის გადასახედიდან. გამხდარი, ნაბლისფერთმიანი ქართველი, სიმპათიური ღიმილით, ალერსიანი გამამხნეველები მზერით (ასე ალბათ უფროსი ძმები და მამები თუ ილიმებიან! დიახ, ძმა ან მამა, რომლებიც არასოდეს მყოლია!). ნაცრისფერი სვანური ქუდი ეხურა. მაგდის ერთ მხარეს მე ვიპუზებოდი ბელურასავით, ცალკე – მორიდებით, ცალკე კიდევ – სიცივით (გარეთ იანვრის ყინვა იდგა და ოთახშიც გვარიანად ციოდა), მეორე მხარეს, ჩემ პირდაპირ კი ცნობილი პოეტი მურმან ლებანიძე იჯდა. ხუმრობა ხომ არ იყო! მით უფრო, რომ იქამდე ასე ახლოს პოეტი არც მენახა! რაღაც გრძელ მაგიდას ვუსხედით. დროებით იყო მაშინ იქ თავშეფარებული საბავშვო გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქცია. დიახ, რომელიღაც სამთავრობო უწყების შენობაში.

– ვანო ცერცვაძემ მითხრა, მგონი

ძალიან ნიჭიერი ავტორი გამოჩნდა საბავშვო პოეზიაში, – გამიცინა. – ვანოს არაფერი შეეშლება, მაგრამ მაინც მინდა ვნახო, რამდენად ხელდამშვენებული მოხვედრი.

ბატონმა ვანომ წინა კვირაში მეც გამაფრთხილა: რედაქციაში მოდი, ლექსები მოიტანე. მურმან ლებანიძე უნდა მოვიდეს, ჩვენი კონსულტანტია, მაინტერესებს, რას იტყვისო.

სულმოუთქმელად ველოდი ორშაბათის გათენებას. მთელი საათით ადრე მივედი რედაქციაში: ბატონი მურმანი თორმეტ საათზე უნდა მობრძანებულიყო, მე თერთმეტზე იქ ვიყავი.

გაუბედავად გავეუწოდე საკმაოდ სქელი ე.წ. საერთო რეგული, რომელშიც თითქმის მთლიანად ჩაწერილი მქონდა ჩემი ნაჯახიერები საბავშვო თუ ლირიკული ლექსები.

გადაშალა და ხმამაღლა შეუდგა კითხვას. ახლაც მიკვირს, ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა ამ ცნობილმა პოეტმა ჩემისთანა „ახლადგამოჩიქნილი“ ვითომ ლექსის მწერლის მისამართით! ბუნებრივია, სხვა მწერლებსაც შევხვედრივარ, პოეტებსა თუ პროზაიკოსებს, მაგრამ ამდენი კეთილი რჩევა და ამისთანა გულითადი დამოკიდებულება არავისგან მახსოვს. არც კითხულობდნენ. ლექსები დატოვებოდა, გადმოგიგდებდნენ უსულგულოდ და შეინახავდნენ საქალაქდებში. არადა, როგორ მინდოდა, იქვე, ჩემ თვალწინ წაეკითხათ, აზრი გამოეთქვათ, რამე ერჩიათ.

ბატონი მურმანი ზოგჯერ ისევ უბრუნდებოდა ნაკითხულს და მეტყვოდა, რა მოეწონა, რა – არა და რატომ;

„ო, ამ საბავშვო ლექსში ხუთიანს გინერ, ძალიან კარგია. ხიდან მსხალი ჩამოვარდა, „გოჩას თავისხელა“ მნიფე მსხალი. ის იყო ლელას უნდა აელო, რომ გოჩამ დაავლო ხელი. გოგომ ტირილი მორთო. გიგა გამოეხარლა. ბიჭები ნაძიძგილავდნენ. ჩხუბში ლელაც ჩაერია და მსხალი ძირს დაუვარდათ. უცხად „საიდანღაც მოღრუტუნდა გოჭი კურკანტელაო, მნიფე მსხალი გადასანსლა, – აბა დელი-დელო“... საბავშვო ლექსი სწორედ ასეთი უნდა იყოს.

აი, ეს სტრიქონი კი არ მომწონს. ეს სიტყვა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. რითმები რაც შეიძლება მუდგერი უნდა იყოს, მით უფრო, საბავშვო ლექსში. კი, ურითმო ლექსიც არსებობს, მაგრამ ვერსიფიკაციული ლექსი თუ არის, მაშინ რითმებიც ოსტატურად უნდა იყოს მოქმენილი და შერჩეული. აი კიდევ ეს ეპითეტი... ძალიან ბანალურია. ბევრი ფიქრია საჭირო, სულ უნდა ეძებო და ეძებო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაცნობ თემებზე წერ, რადგან ძალიან ადვილად აღმოჩნდება სხვათა ნათქვამის ტყვეობაში.

აბა ერთი „ზამთრისპირიც“ ვნახოთ: „წევს დედამინა, გადაღლილი და ნანვალები, წევს გათანგული მოლოდინის იდუმალებით; ცა, როგორც ფანქრით დაწერილი ძველი წერილი, ბუნდოვანია, გაცრეცილი და მოწყენილი“. აი, ეს მესმის! Ты молодчина, просто... просто ты молодчина! ამისთანა სტრიქონებზე გალაკტიონიც არ იტყვოდა უარს. პოეზია სწორედ ამისთანა მიგნებებშია“.

ყველა ლექსი ნაიკითხა. შეუფასებლად თითქმის არც ერთი დაუტოვებია: „ესენი, ჩემო კარგო, თითქმის გადასაყრელია. კი არ გენყინოს, ჯერ მთელი ცხოვრება წინ გაქვს. რაც მთავარია, პოეტი ხარ, პოეტად დაბადებული! ეს უფლის ნება იყო. დანარჩენი შენზეა. ბევრი უნდა იკითხო, ივარჯიშო. ნაკითხული ან გაგონილი ლექსის გავლენას უნდა ერიდო. ეცადე, მხოლოდ საკუთარი თვალთ ნანახი და განცდილი წერო. გულს უსმინე, რაც შეეხება ფორმას... ფორმას გარკვეულწილად თვითონ სათქმელი გიკარნახებს“...

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენს ქალაქში საოცრად პოპულარული იყო გოგი ცაბაძის სიმღერა თბილისზე. როგორც მახსოვს, „ორერა“ მღეროდა: „რომ ვერ ვნახო ერთი დღითაც, მომენატრები, სულში მუდამ შრიალებენ შენი ჭადრები“... და ა.შ. მომწონდა ეს სიმღერა, შესაბამისად, სიტყვებიც და დიდი სურვილი მქონდა, რაღაც „ამისთანა კარგი“ ლექსი მეც დამეწერა. ეტყობა, ჩემმა მცდელობამ შედეგი გამოიღო – მსგავსება ერთობ ნარმატიული და თვალსაჩინო გამოდგა.

„შენ ფიქრობ, რომ ახალი ლექსი დაწერე? კი, გენაცვალე, მეც მომწონს გოგი ცაბაძის მუსიკა, მშვენიერი მელოდიაა, სიტყვებიც – რიგანი, მაგრამ ამ ლექსს თავისი ავტორი ჰყავს. შენ შენი ლექსი უნდა დაწერო (არადა, გამოგიტყდებით, რომ მეგონა, ის ლექსი ყველა დანარჩენზე მეტად მოეწონებოდა). იქნებ შედეგრი არ იყოს, მაგრამ შენი მოფიქრებული და შენი დაწერილი უნდა იყოს! თუ სხვას მიბაძე, სხვათა სახეები და რითმები გადმოიღე და გამოიყენე, მაშინ ლექსის წერას აზრი აღარ ექნება“.

ეს ჭეშმარიტად დიდი და მრავალმხრივ საგულისხმო გაკვეთილი იყო. ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი რამ მითხრა ბატონმა მურმანმა მაშინ. ქართულ პოეზიაზე მესაუბრა: თანამედროვეებზე, წასულებზე. ლადო ასათიანი გაიხსენა დიდი გულისტკივილით. – უნიჭიერესი იყო, იმას რომ აქამდე ეცოცხლა, ტოლი არ ეყოლებოდა ქართველ პოეტებში. მასთან ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მოვიდოდაო, – თქვა, – რაღაც სხვანაირი, ჭეშმარიტად ღვთაებრივი ცეცხლი ანთია მის ლექსებშიო.

იმავე დღეს დავეწერე ერთი პატარა ლექსი. ბატონ მურმანს ვუძღვენი: „სვანური ქუდი, ნაცრისფერი სვანური ქუდი, ისე უხდება თქვენს მართალ სახეს, როგორც კოშკები – უშგულს და ლახირს“. „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა. სულ რაღაც თოთხმეტოდე სტრიქონი იყო. მის განსაკუთრებულ ლიტერატურულ ღირსებებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ბატონი მურმანისადმი პატივისცემასა და მონივნებას ნამდვილად გამოხატავდა. ის უშგულისა და ლახირის კოშკები მისივე ლექსიდან იყო („შვენის კოშკები უშგულს და ლახირს“) და დიოგენეც იქვე გახლდათ, თავისი დღითა და ღამით განუმორებელი ფარნით... დიახ, ბატონი მურმანი მართლა სანთლითა და ფარნით საძებარი ადამიანი იყო. მას

უყურადღებოდ არც „დილაში“ დაბეჭდილი ჩემი ლექსი დაუტოვებია. „ლიტერატურულ გაზეთში“ იუნყებოდნენ, მწერალთა კავშირში ჟურნალ „დილის“ განხილვა მოეწყო. პოეზიაზე მურმან ლებანიძემ ისაუბრა და განსაკუთრებით რამდენიმე ავტორის ლექსები მოიწონა. იმ სიხარულს რა დამავეწყებს, ჩამოთვლილ ავტორთა შორის ჩემი სახელი და გვარი რომ ამოვიკითხე. მეორე დღეს ჟურნალ „პიონერში“ წავედი. იქ სიმონ შამფრინამა და ზურაბ ლეშკაშელმა მომილოცეს გულწრფელად, მურმან ლებანიძემ შენი ლექსი შალაშინზე და შარიშურა ბურბუშელაზე შეაქო და ნაიკითხა კიდევო. მაშინ ჩვენ ერთმანეთს პირადად არ ვიცნობდით და ის ლექსი ჩემი პირველი ნაბიჯი იყო ამ საბავშვო ჟურნალში. დარწმუნებული ვარ, მის ადგილზე სხვა ხმასაც არ ამოიღებდა.

ქვეყანას ისე არავინ სჭირდება, როგორც საკუთარ საქმეზე შეყვარებული ადამიანი. მურმან ლებანიძე ეთავყანებოდა პოეზიას და, გარდა იმისა, რომ თვითონ ქმნიდა შედეგებს, იმაზეც თავგამოდებით ზრუნავდა, რომ ეს სულიერება არ ჩამქრალიყო საქართველოში, რადგან მასზე უკეთ არავინ უწყობდა: თუ რამ ღირებული გაგვჩინა, ეს, უპირველეს ყოვლისა, პოეზიაა და სიფრთხილეა საჭირო, რომ ფსევდოღირებულებები არ მოგვეძალოს (რაც, სამწუხაროდ, დღეს ძალიან ბევრს ნაკლებად ალელვებს).

ჩემს ბედს მაინცდამაინც არ ვუმაღლი: „დღე, როგორც მსურდა, ისე არ შედგა“, მაგრამ ცხოვრების გზაზე მაინც მხვდებოდნენ ადამიანები, რომლებმაც სულში დიდი ნათელი დამიტოვეს. ერთ-ერთი მათგანი მთელი საქართველოსათვის სათაყვანებელი პოეტი მურმან ლებანიძეა. მიხარია, რომ მაღლიერება მისი მისამართით 2001 წელს დაწერილი ლექსითაც გამოვხატე, თუმცა, სამწუხაროდ, გვიან დაიბეჭდა. ლექსი საკმაოდ ვრცელია. თავს უფლებას მივცემ და უკანასკნელ ორ სტროფს ამ მოგონების დასასრულს შემოგთავაზებთ:

„წერე ცხოვრება, ჩემო კარგო, ცხოვრება წერე... შენსას არჩევდე მუდამ სათქმელს, ფორმას და ფერებს... და ორმოცი წლის – თითქმის მთელი ცხოვრების მერე, როს დღენი ჩვენნი განუზომელ ტკივილად ჟღერენ, დაჰკრავს ჩვენს ყოფას ოდენ ნალვლის ფერი და გემო, მეც ასეთივე ფერი მადევს, ბატონო ჩემო!

„ცაც, როგორც ფანქრით დაწერილი ძველი წერილი, ბუნდოვანია, გაცრეცილი და მოწყენილი“, მაინც ყოველთვის, ფიქრს შევლიმი თუ ცას შევტირი, კვლავ ის რჩევები მახსენდება, ის გაკვეთილი“.

(„ის გაკვეთილი“, „მწერლის გაზეთი“, 2005)

მზია ჩხეტიანი

ბეჟანა

დომენტი სოზაშვილი

ბეჟანი ერქვა. მაგრამ ვინ დაგიძახებს ჩვენთან ბეჟანს, ვინც უნდა იყო – ბეჟანა! და მორჩა!...

მალალი, წარმოსადეგი, სილამაზე-შერჩენილი ჭარმაგი ქართველი, არც მთლად ჭალარა – მოვერცხლისფროთმიანი, გაიღიმებდა, პირქუშად, საოცარი სევდით. ასეთი იყო, თავისი ცხოვრებადაჭერილი – შვილების, შვილიშვილების, უკვე წამოჩიტული გაუჩერებელ-დაუდგომელი შვილიშვილების, უკვე წამოჩიტული გაუჩერებელი დაუდგომელი შვილთაშვილის სიხარულში. რა ექნა, ცალად იყო დარჩენილი 90–ს მიტანებული იმისგან, ვისგანაც ყველა ესენი მოუვიდნენ, ვისთანაც მთელი ეს ცხოვრება გაატარა. ხარობა ეგრე რიგად მთლიანი აღარ ჰქონდა იქ, სიღრმეში, თორე სიყვარულით უფრო სასოებით უყვარდა ახლა თავისები – იმათთვის იყო, იმათით ცოცხლობდა.

უკვე მძიმედ იარებოდა ბრგე მოხუცი. იმისი შვილი რა ხანია საქვეყნოდ ცნობილი პოეტი თემურ ჩალაბაშვილი ბავშვობაში ასევე შეუნვდომად დანახულ მამის უზარმაზარი ბეჭებით გადაიზომავდა თავის კავკასიონს:

„მაშინ ოცნებაც იყო იოლი, თავანყვეტილი ბავშვის ეჭვებით, როცა მიყვარდა კავკასიონი გადაზომილი მამის ბეჭებით“.

კოლმეურნეობები რომ დაიშალა, ვენახები ერთად, აქეთ-იქეთა ტახტებში მოპირდაპირეები მოგვცეს. იმ დროიდან მოყოლებული კეთილი მეზობელ-მომიჯნეები ვიყავით. ეგ არაფერი, თუ ის უფრო მამაჩემის თაობის იყო, მე კი უფრო იმისი შვილებისა. საერთო და მთავარი ჩვენთვის ის იყო, რომ ერთმანეთს იმ დროში ასეთი შავი დღით ნაშოვნ-გამონატარები სამსახურები გაგვეკრობოდა, როგორც ზმანება და ამ ახალ დროს ისევ მიწასთან დავეყენებინეთ სარჩოსთვის. ასე თანამდგომელები ვიყავით ახალ ცხოვრებაზე და „მაშინ გაუჭრა ფრანგულმა...“, ისევ ბარი, თოხი, ცელი, მაკრატელი, გუთანი, წამალი; „დრო დროთ უნდა, თორე ჟამი ყოველთვის არი...“ სხვა რა, აქაურებს ხომ მევენახეობა მამიპაპითგან მოგვდგამს... ახლა თავისი ტოროლასავით წმინდა, წკრიალახმიანი მეუღლე რომ მოევიდნა ვენახს, აქაურ ყველაფერზე გადწვდომილი, გულდამწველი – ვიფიქრე: უამისოდ აქ როგორ შეიძლება იყონ-მეთქი. აი, დედისგან ყოფილა-მეთქი, შვილის სილამაზედ მოსვლა, სილამაზის მსახურება... მეორესაც, ზურას, ულამაზესი ხმა ჰქონია; ერთხელ, აქ ყოფნისას, ვენახში კარგად გართული ამღერდა უნებლიეთ და მოვისმინეთ მოსასმენი.

მამა-პაპიდან მოგვდგამს-მეთქი, ვთქვი, მაგრამ მაშინ სხვაც არაფერი იყო და აგრეობად სხვაც არაფერი

უნდათ მეტი; აი, ახლა არის საცოდაობა, ნაირ-ნაირი რომ იცი. გინახავს, გსმენია, კითხულობ, უყურებ და ეს ძველი უღელი დაგიდგამს. ოფლად იღვრები ძველებურად გამწვევი, რას იტყვიო, უფრო ძნელი ხომ არ არის იმ ჩვენი მაშვრალი ძველებისათვის?

მუშაობაში მეტწილად ერთმანეთს ვერა ვხედავდით ხოლმე. აქეთ-იქით გაყოლილები, მაგრამ ისეცა ხდებოდა, რომ ზოგიერთხელ სწორედ ერთდროულად გავიდოდით იმ ტახტთშორისში და გაგვეცინებოდა ერთმანეთზე შემხედვართ – სად ვიყავით და სად დავდექითო. მაინც უგულოდ არ ვიყავით აქ. პირიქით, ეს ამხელა ვენახები ჩვენად რომ ვიგრძენით, სიხარული გაგვიჩნდა და უმალ პატრონად ვექეცით ბოლო გოჯამდე. ვაზი მაინც სიყვარულით უყვარდა და უვლიდა ბეჟანა, ძველიდანვე აგრე მიჩვეული; წელმოხრილი რომ შევიდოდა ვენახში, იქედან როდის, როდის გამოვიდოდა... იმ წელიწადს რომ დავისეტყვეთ, დავინახე, მოტეხილ ტოტებსა და ფოთლებს აცლიდა ჩამოვლით. რაღას უშველი-მეთქი, რომ ვკითხე, რა ვიცო – დანახებით ჩაჰქინდრა თავი.

ერთხელაც ყურძენი ბრიგადას დააკრფინა. ბრიგადის ქალებს მე-6, მე-7 კლასის ფულისთვის გახალისებული ბიჭები წამოეყვანათ – მზიდავებდა. თავიდან ყველაფერი კარგად წავიდა, კარგადაც დაიკრიფა ნახევარზე მეტი, მაგრამ ბიჭები ბოლოში გაანცდნენ, ერთმანეთს სავე ვედრებით დევნა გაუმართეს, სანამ მანქანის ძარაზე მიანვიდნენ და ახლა ყურძენის მტევნების სროლაც რომ დაუნყეს, მაშინა ვნახე პირველად ასეთი ბეჟანა გამძვინვარებული, ატორტმანებული გოლიათი რომ გამოენთო ამ მაიმუნ ოინბაზებს!... მიუტანა კიდევაც ერთს სიხლოვეს იმათ თავებზე კაი მსხვილი ხელები ის კი იყო და გაიჩერა თავი... აქეთ, მანქანასთან მდგომებისკენ გამოხედვით – რა ვუყო ამ ლანჩირაკებსო...

გავიქცეთ, ბიჭო, ეს პაპაშა რა ყოფილაო!... და მართლა მალე არცერთი იმათგანი აღარ იყო იქ. „შოფერმა“, მე და თვითონ ქალებმა გამოვიტანეთ ბოლო ყურძენი. ქალებსვე გაატანა იმ ბიჭებისთვის.

კაცო, რა მოგვივიდა, ორი მტევნის გულისთვის ეგრე რომ გააქციე ი, საცოდავი ბავშვები – გაგულისებით შეეკითხა ქალბატონი რუსიკო, პატარა სუფრას რომ შლიდა დამთავრებულზე ვენახთან. – ისევ ისეთი ჰყოფილხარ, ბოლომდე არ იცვლება, ღმერთო, ადამიანი. ჩემი გულისთვის რომ იმხელა ჩხუბებსა სტეხდი, რო ველარ გაჩერებდნენ მუშტიკრივში გაძრიალებულს ბოლომდე – აჰა, შენთან არ მოვედი, სულ აქ არა ვარ?... ცოტა ძალასა და ღონესაც თუ არ აჩვენებდი, მარტო სიყვარულით, რა ვიცი, აბა, გამოვიდოდაო – მომხედა მაშინ ჩალიმილებით და ჭიქა მომირტ-

ყა. ისე მართლა, რა ვიცი, ეგრეა, მაშ რა ეშმაკია; რამდენი ოცნება რჩება ოცნებად მხოლოდ მართლობის შეყურებით.

მამაჩემზე მომიყვა, მაშინდელი ლამის სკოლის დირექტორზე. თითო-ოროლა დადიოდაო იმ ღამეში, კაცო, და ხალხს კლუბიდან, კინოდან გამოიყვანდნენ ხოლმე გაკვეთილებზე დასასწრებად, როცა რაიონიდან დასასწრებად ჩამოუვიდოდნენ ვინმეები. ერთხელაც ესე შეყარეს ქვეყანა, ჩემთან, სასადილოში, კიდევ კაი სუფრა გამართეს – მწვადი, ხაშლამა. კაცი გამომიგზავნეს დასასწრებად.

ასე, მოქიფეების დროსტარება, ლხინობაში იდგა სამსახურად, რომელსაც კაი გაძლოდა, კაი შადგომა უნდოდა. იმისი ჩაუჭრელობა ყველამ იცის. გასახარებლად მოდიან და ჩვენც სასიხარულოდ უნდა შევხვედროდით – ჩვენ ყველანი ხო ერთმანეთისა ვართო... იტყვოდა.

ცას მწვდომობა მოსწონდა თავის შვილის ლექსებით და მალა, ცნობილი ხალხის სტუმრობას ჯეროვნად ითვლიდა. შვილის მერცხლობისთვის თანგადაყოლით იშვიათი ნაყოფის მიღებად ისახდა. ის თავისუფლად, ბუნებრივად იყო ამათთან მასპინძლობაში. ხალხში მყოფი ბევრ საინტერესოს მოუყვებოდათ ხოლმე აქაურ ცხოვრების ავ-კარგზე და ასე მეტად თავისიანად იგულებდნენ ისინიც. რევზ მიშველაძე ყოფილა ამათთან. მასთან, ბეჟანთან, უშუალო, თავისუფალ საუბრებში, ის აქაურების სიყვარულ-დაფასებასთან ერთად, აქაურთა ცხოვრების სილამაზეს შეიგრძნობდა, მათ გასაჭირებს სჭვრეტდა.

დიახ, შვილის ლექსებით ხარობდა, გამარჯვებული იარებოდა. ამან ამგდარი, ნაომარი მამის ვაჟის სიყვარულით, პოეტური გალამაზებით, უხვობით, აქაურობაში უჩვეულო გრანდიოზული 75 წლის იუბილე გადაუხადა. მართლა საოცრება იყო და დიდებული ბეჟანის შინაურების, აქაური მეზობლების, მეგობარ-ძმაცაცების და თემურის თბილისიდან ჩამოყვანილი მეგობარი პოეტების, მწერლების, მხატვრებისაგან შემდგარი კაი გრძელი სუფრა, ვება სახლის სასტუმროში, მეორე სართულზე ბრწყინვალე და უბრალო სადღეგრძელოები ერთმანეთს მოჰყვებოდა; ლექსები, მუსიკა, სურათები. მეუღლესთან, შვილებთან, რძლებთან, შვილიშვილებთან იგი ამაყი, ბედნიერი იღებდა მილოცვებს ამდენი ხალხისგან!... მაინც მეტწილად პატარა ბეჟანთან მდგარი.

დიდ გაჭირვებაში ცხვირი არ ჩამოუშვია მრავალთაგანივით ბეჟანას; დაუდგრომლად, ყველა მხარეზე მიწყვეტებით, რაღაც გამოჩენილ სამუშაოზე წასვლით რაღაც დონეს მაინც ყოველთვის ინარჩუნებდა სახლში – ბოლო თავის გამეტებითაც... სხვა-

ნაირად მას არ შეეძლო, არაფრით არ დაუშვებდა. ის კი არა, ამ დროისათვის შექორწილებულ შვილებსაც შეენეოდა აქედან.

დახვეწილი, ლამაზი მანერების კაცი გახლდათ, სუფრაზე ინიციატივიანობა და საჭირო დროს, გაგაოცებდათ სათუთი თავაზიანობით.

როგორ მოვიდა ჩვენთან ჩემი პატარა ბავშვის დაბადების დღეს... იმ გაჭირვებაში რა გვედაბადებისდღეებოდა, და მაინც, ამობაში მოთამაშე ბავშვს რაღაცას მოვარჩვენებდით, გავათამაშებდით მაშინ; თავისი მეუღლისგან ის გამოძებნილი ბავშვების საჩუქრებით რა მზე, რა სიხარული შემოგვიტანა თვითონ გაბადრულმა!...

მაგრამ იმისი დარდიანი, სევდიანი გამომეტყველება გვეუბნებოდა იმ ჩუმ შინა ტანჯვაზე, რომელიც მას აღარ სტოვებდა. რა ძნელია ტანჯვა სულში... ყველაფერი, რაც უნდა მოეტანა, რაც უნდა გაეკეთებინა, იმას უნდა ჩაჰბარებოდა, იმას უნდა გაეგო, სწყენოდა-გახარებოდა. იმას ხედავდა, იგულებდა ერთთავად თავისსავით ვება, ახლა ქარალინა სახლ-კარში გასახარად, მაგრამ ამოად, ის არსად სჩანდა... ორი ცრემლი ჩამოუგორდა ფართე, კეთილშობილ ქართულ სახეზე, როცა სანახავად მისულმა იმისი მოგონების სადღეგრძელო ვთქვი... რა საოცარ ღვინოს აყენებდა დალოცვილი, იმისი ოჯახის სიღრმისეული სინმინდის და ჯანიანობის აღმომჭვირვალეს.

ბირჟა, სოფლის ბირჟა ასეთი მართოთა შეხვედრების ადგილია; სიმართლევს რომ მოიგდებენ და ერთმანეთი შერჩებათ – მზად უნდა იყვნენ და ვაი მას, ვინც არ არის მზად თითოეული აქეთ ნასროლი სიტყვისთვის, რეპლიკისთვის.

ვენახში, საღამოთი, ბეჟანა გახედავდა დაფერდებულ ცაზე აჭრილ თეთრ ღრუბლებს და წავიდოდა... ახლაც ვიცი, ეზოში მოარემ შეიხედა ცაში თეთრი ღრუბლებისკენ და... წავიდა... ამჯერად სიცოცხლიდან ნაბიჯებით. ძმამა და ძმისშვილმა, სულ რომ თვალი ეჭირათ მასზე ღობის იქიდან, ცოცხალს ველარ მიუსწრეს. იჯდა კიბეზე მიყუდებით უსულო, თუნდაც მიესწროთ კიდევ, სულს ხომ ვერ დაუჭერდნენ, მით უმეტეს თუ ის თავის სანატრელისაკენ ასე მომსწრაფია...

ვიცით, რომ კანონზომიერებაა ამ ქვეყნიდან წასვლა იმათი, ვისიც ჯერ არს; წესებით ვაცილებთ... და მაინც რა ძნელია, მძიმე უიმათოდ დარჩენა. ასე მერე პოეტი შვილი იტყვის:

„თითქოს გამეხსნა ყველა იარა, ასე მეგონა მე პატარა ვარ, წავიდა მამა – თავისი კი არა, მთელი სამყარო მეპატარავა!..“

რა ვუყოთ, ახლა ესენი არიან, ამათი დროა. ამათ იციან, რომ „ის ურჩევნია მამულსა...“ ესეც ბეჟანასაგან იციან. ასეთია წუთისოფელი.



დათო ახლოური

ჩემო იესო

შენს ხატთან ვემხოები ასჯერ
სიმშვიდე მწყურია როცა,
უფალო, რარიგად გტანჯეთ
და მაინც რა მშვიდად გვლოცავ.

მზე შენით გვათბობს და მზეობს,
შენა ხარ სამყაროს მხსნელი,
მადლობა უფალო ჩემო,
მე უღირსს ასე რომ მშველი.

ის, რაც ვერ გითხარი გუშინ,
დღეს ვამბობ, შემინდე ცოდვილს:
უფალო, შემოდი გულში,
ღამე ვარ, სინათლედ მოდი...

ჩემი გზა ტაძრისკენ მიდის,
ცრემლსაც აქვს ფერი და გემო...
მე ახლა შენით ვარ მშვიდი,
მიყვარხარ უფალო ჩემო!

ნუხელ მზენათელი ამობრწყინდა,
გულში ჩამისახლდა მამალმერთი...
ნუხელ დამესიზმრა ქარჩოხი და
ჩემი მონყენილი დედულეთი.

სხივი დამნათოდა ღამე ციდან,
ისევ ჩემს სოფელში ვიყავი და...
ნუხელ დედაჩემი დამესიზმრა,
თბილად მიღიმოდა სიზმარიდან.

დიდხანს ვლოცულობდი
სოფლის ნიშთან,
- წმინდა გიორგიო, დაგვიფარე!
მერე უფლის სვეტი ისევ იშვა,
ნათლით ივსებოდა ღამით არე!

ნუხელ ბავშვი ვიყავ, კვლავ პატარა,
ეს რა ღამე იყო, დალოცვილი,
ნეტა ჩემს ეზოში გამატარა,
კედლებს სათითაოდ დავკოცნიდი!

ნუხელ მზენათელი ამობრწყინდა,
ციდან მიგალობდა მამალმერთი...
როგორ მომენატრა ქარჩოხი და
ჩემი მონყენილი დედულეთი!

ჯერაც ბნელია და
ჯერაც წყვილია,
მეფობს და ბობოქრობს
ღრუბლების თავანი...
ალარც მერაბია,
ალარც ზვიადია,
ალარც ფეხშიშველი
მიგვიძღვის თამარი...

სტკივა საქართველოს
სტკივა და ვერ ამბობს,
შვილთა გაფრთხილება
იცის იმთავითვე...
თითქოსდა ვზვიადობ,
თითქოსდა ვმერაბობ,
მაგრამ ვერ იქნა და
ველარ ვიდავითე;

რაც მქონდა, წაიღეს,

რაცა მაქვს, მართმევენ -
სისხლით რომ ვიცავდი
იმ ცას და იმ მიწებს...
არ ვიცი, რა სენი
დაგვჩემდა ქართველებს,
ენას და
რწმენას და
მამულს რომ ვივინყებთ.

ქართლი რომ ჩვენია
ამას თქმა რად უნდა,
ვჯავრობ და
ძარღვებში
სისხლი მეყინება...
ხვალ ისევ გაათბობს
ლიახვზე ნაფუძარს
კაცის ლილინი და
მამლის შეყვილება.

ღმერთი მაღალი და
ღმერთი მონყალეა,
კვლავაც დაგვიხსნისო
ქრისტეს სიდიადე...
ჩემი საქართველო
ჯერაც ცოცხალია,
ჩემი საქართველო
ისევ იზვიადებს!

გამიშვლდა ხალხი,
რაც აცვია,
იმასაც იხდის,
რა გითხრა კიკუ,
ეს სიშიშველე,
ალბათ არ გასურდა...
ნულარ გაიხდი,
ე, მაგ გროშებს,
რა თავში იხლი,
მაგათი ფული,
რახანია,
გაუფასურდა...

შესცოდეს კიკუ,
შესცოდეს და
ხვდებიან ვერც კი,
მუცალის ნაცვლად
ჩამოტყვის
მხარი ალუდას...
კაცობრიობას ოცდაათიც
ეყოფა ვერცხლი,
ქრისტეს ჯვარცმიდან
შეუცვლელი,
მყარი ვალუტა!

დაძრწის შენს ქუჩაზე
ჩემი ორეული,
ის ხომ ყოველღამე
შენი ხიზანია...
სანოლს მივეცემი
ვნებათორეული,
და ეს ყველაფერი
მხოლოდ სიზმარია,

სადაც კოცნა მოგნონს
კბენაგარეული,
სადაც ეს ხელები
ყელზე გემიძივება...
მაჯებს ეხეთქება
სისხლი ამღვრეული,
მაგრამ დღეს რატომღაც
ალარ მეძინება...

თუშქალო!

ჩემო ლამაზო თუშქალო,
სურვილი იყოს თუ შენი, -
წადი და შენებს უთხარო,
უნდა მემოყვრონ თუშები...

მზე რომ ხარ, სითბო რომ ხარო,
ხომ იცი, შემიყვარდები...
ღილით თუ სხივად მოხვალო,
სალამოს მოვლენ დარდები -

ჩამოსხდებიან ფიქრებთან,
გამზიან, გამიავდრდები...
მალე მოხვიდე იქნება,
დიდხანს ნუ დაგვიანდები...

შენ გენაცვალე, თუშქალო,
დღე რომ მაშორე აშარი...
ასე მონყენით ნუ ხარო,
დღეს ჩვენ დაგვლოცავს ლაშარი!

ჩემს ბედს შენ უნდა უნამლო,
მომწყინდა მარტო წანწალი,
შენ უნდა იყო თუშქალო,
ამაღამ ჩემი წანწალი.

მერე იქ გეტყვი დანარჩენს,
ტურთან მოტანილ ტურებით...
ერთად ვუამბოთ მამაშენს,
რომ ჩემი ხარ და სულ ჩემი...

რა ლამაზი ხარ თუშქალო,
რა კარგები ხარო თუშები!

ჩემს გულს ბევრი ელოდა,
მაგრამ შენთან გულობდა,
ჩემო გემრიელო და,
ჩემო სიყვარულობავ...

მოხვედი და როგორღაც
მაფიქრებ და მაოცებ
რა მაგარი გოგო ხარ,
ჰოდა, მაგრად გაკოცებ...

გახსოვს? - გაგცეს სიტყვებმა,
არ გამიშვა ხელიო,
ტურები ხომ ისევ მაქვს
შენი საკოცნელიო...

იქნებ სჯობდეს ნატვრაში
ღამეების გათევას,
შენებურად კალთაში
ჩუმად მოკალათება...

ჩვენი წყვილი იქნება,
ჯერაც არ ნახულობა,
ახდენილი ღვთის ნება,
მარტის გაზაფხულობა

და ლეგენდებს მიჰყვება
იმ მთისა და ამ ბარის...
რა ლამაზად იწყება
სიყვარულის ამბავი...

ჰოეტის ცოლი

არ დანყებულა
ჯერ კიდევ თოვა,
თრობის ჟამი აქვთ
ქარვისფერ თასებს...
მე მიხარია
შენ რომ მოგნონვარ,
გულში რომ ხარ და
ასე რომ მავსებ!

მიმზერ ფიქრიდან,
ზოგჯერ ეჭვიდან,
და მეთბილება
შენი მშვენება...
შენ გეჩემება
ყველა ლექსი და
ეს სიყვარულიც
შენ გეჩემება...

გაჩუქებ იებს,
ლამაზ იანებს,
სითბოს
მზის სხივებს
დავესესხები...
პოეტი ვარ და
იეჭვიანებ,
ჩემზე ფიქრით და
ჩემი ლექსებით...

მაგრამ ჩამხედავ
მერე თვალებში,
დაგვიწყნებება
წყენის ნუთები.
ცრემლებს წაგიშლი
თბილი ალერსით
და გაბუსხული
ჩამეხუტები...

ჯერ კი წინაა
შენზე დარდი და
გაუკვალავი
დეკემბრის თოვლი...
ერთად ვიქნებით
ალბათ ხვალიდან
და დაგერქმევა
პოეტის ცოლი...

* * *

ჩემო სიცოცხლე,
მეთბილება,
მეამინდები,
შენზე ლოცვაში
დაღვეთილან
ჩუმად სათლები...
ნეტა თუ იცი, -
ჩემს თვალებში
მზე იმდენი,
ალბათ დაგნავს და
ცხელ ტურებზე
შემომადნები...

ალარ იდარდო,
ნუ იქნები
ჩემთან მონყენით,
უკვე გამარტდა,
მირკანს
სითბო შემოერია...
ხვალ ეს ჭადრები
იქნებიან
უტყვი მონმენი,
როგორ მიყვარდი,
როგორ მწამდი,
ჩემო ფერია...

წავალ, ქუჩაში
დავარიგებ
ლიმილს კარ და კარ,
და მერე წვიმებს
შევატოვოთ
ეჭვი ფარული...
სიცოცხლე რაა -
ერთხელ საზღვარს
თუ არ გადახვალ,
დღეს თუ არ გნახე,
ალბათ შემშლის
ეს სიყვარული...

უნდა გიხილო,
ვიდრე გული
დარდებს აჰყვება...
ვინმემ თუ იცის,
შენთან ყოფნა
როგორ მწყურია,
მენატრები და
მონატრებაც
მეამაყება...
ეს სიგიჟეა,
ეს ვნება და
სიყვარულია!

ჩემო სიცოცხლე,
მეთბილება,
მეამინდები...

ყვითელი ფოთლები

ხანდახან რთული ვარ,
ხანდახან მარტივი...
შენ ჩემსას
ვერაფერს გაიგებ...
ყოველდღე იცვლება
ამინდი მარტივით,
რაც მქონდა
ღრუბლებმა წაიღეს...

ხან ფიქრი,
ხან დარდი,
ხან ნიჭი მოთმენის...
ნოემბრად შემოვრჩი
ამ ქუჩებს...
ზედ გულზე მეყრება
ყვითელი ფოთლები,
მოდის და
ამ გულსაც გაჩუქებ!

მიკროპოლიტიკა ამბროსი ხელის სიყველა გიორგი შერვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე

როდესაც ჩვენ ვასრულებთ ხსოვნას დაუვინყარი გიორგი შერვაშიძისას, როდესაც გვინდა მისი სული შევავედროთ უფალს და როდესაც წარმოვიდგენ მის ცხოვრებას, მაგონდება იოანე ღვთისმეტყველის სიტყვები: „ნეტარ არიან, რომელნი მიიცვლებიან ღვთისა მიერ“.

ამნაირ პირთათვის არ არის საშიში სიკვდილი. ის საშიში და სატირალია მხოლოდ ცოდვილთათვის. ღვთისა მიერ მიცვალებულთათვის ის არის სასურველი ბოლო ამქვეყნიური ტანჯვისა, ღმერთი მათ ჰპირდება ტანჯვისაგან მოსვენებას, ის გვეუბნება, რომ „სიკვდილი კაცთათვის მოსვენებაა“?! საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ ამქვეყნად მხოლოდ ტანჯვაა და თუ ამ ცხოვრებაში ვხედავთ რაიმე ბედნიერებას, მხოლოდ იმდენად, რამდენად ის უკავშირდება მომავალ გარდაუვალ ცხოვრებას, მისკენ მივყავართ.

ძველი ფილოსოფოსი პლატონი ერთ თავის თხზულებათაგანში (ფედონში) მოგვითხრობს ერთ სცენას უდიდესი ფილოსოფოსის სოკრატის ცხოვრებიდან. სოკრატი გაანათავისუფლეს საპყრობილიდან მხოლოდ იმისათვის, რომ მოემზადოს სიკვდილისათვის რამდენიმე წამით სიკვდილის წინეთ. ის ზის თავის სარეცელზე, მას შემოხვევიან თვალცრემლიანი მისნი მონაფენი, მაგრამ ის აუშფოთველად ხელს უსვამს რკინის ბორკილებისაგან დასხვებულ ფეხებს, არ უსაყვედურებს თავის ბედს, მსაჯულებს, რომელთაც მიუსაჯეს მას სიკვდილი და სრულიად დაუნყარებულად მისცემია კეთილშობილურ აზროვნებას.

აუხსნელია, მეგობარნო ჩემო, ის, რასაც ადამიანი უწოდებს (ბედნიერებად) სიამოვნებად და განსაცვიფრებელია ის, რომ ეს სიამოვნება მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან, რაც მისი წინააღმდეგია — ტანჯვასთან. ისინი ეწვიან კაცს ერთად, ერთსა და იმავე დროს, მაგრამ თუ ვინმე ეძებს ერთ მათგანს, მან უთუოდ უნდა განიცადოს მეორეც, ვითომ ისინი განუყრელი იყვნენ და დასაბამიც ერთი ჰქონდეთ. ამქვეყნად არ არის ბედნიერება გარდაუვალი ცხოვრების წარმოუდგენლად. ხშირად ბედნიერებას ვეძებთ იქ, სადაც ის არ არის, ვაღწევთ იმას, რასაც ველტვოდით, ბედნიერებათ ვსთვლიდით, მაგრამ ბედნიერება შორს გარბის ჩვენგან და ვრჩებით მოტყუებულები. ის არ არის არც სიმდიდრეში, არც ადგილ-მამულებში, სასახლეებში და არც ამქვეყნიურ დიდებაში. მამ სად არის ბედნიერება? რაშია ცხოვრების აზრი? ეს ბედნიერება უნდა ვეძიოთ არა ჩვენს გარეშე, არამედ ჩვენს შინაგან არსებაში. „სასუფეველი ცათა თქვენშია“ — ბრძანა მაცხოვარმა. რწმენა, სულიერი კმაყოფილება, რაც ტანჯვაშია. შესაძლებელია, ბედნიერებაა. ეს აძლევდა სოკრატს სულიერ სიმშვიდეს, მას სწამდა, რომ კმაყოფილებას მიიღებდა მეორე ცხოვრებაში.

ერთი ტურგენიევის თხზულების „ფაუსტის“, გმირი ამბობს, რომ ცხოვრება არ არის სიამოვნება, არამედ აუტანელი შრომა. უარყოფა და მხო-

ლოდ უარყოფა, აი საიდუმლო მისი აზრი, ეს არის არა იმაში, რომ კაცს აუსრულებს თავის ოცნებანი და სიამოვნო სურვილი, არამედ „მოვალეობის აღსრულება“. აი, რისთვის უნდა იზრუნოს კაცმა. ჩვენ ახალგაზრდობაში ვოცნებობთ თავისუფალ მოქმედებაზე, მას ეს ეპატიება, მაგრამ ცხოვრების სისასტიკემ უნდა დაგვარწმუნოს, რომ ვინც არ ასწავებს ცხოვრების მძიმე ტვირთს მოვალეობისას, ვინც არ შეზღუდავს თავის თავისუფლებას მოვალეობის შესრულების ბორკილებით, ის ვერ მიაღწევს ბედნიერებას, ვერ მიიღებს სულიერ სიამოვნებას. ერთი სიტყვით, ბედნიერება მოვალეობის აღსრულებაშია, - ამბობს ტურგენიევის გმირი. ჭეშმარიტებაა.

განსვენებული გიორგი შერვაშიძეს ამქვეყნად არ უნახავს რამე, გარდა ტანჯვისა და მწუხარებისა. მან დაჰკარგა დიდება, დაჰკარგა ქონება, განიცადა უკიდურესი დევნულობა და სამშობლო მხარიდან ექსორიობა. ის არც ეძებდა ამქვეყნიურ დიდებას. მან უარყო ის წარჩინება-უპირატესობანი, რომელნიც მას მიენიჭა როგორც მოწყალეობა; ყველა ესენი მან უკან დაუბრუნა იმასვე, ვისგანაც ებოძა. მიუხედავად ყველა ამისა, ის მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგანაც ასრულებდა მოვალეობას. განსვენებული ემსახურებოდა ქართველთა და აფხაზთა ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმეს. ის მართალი იყო, რადგანაც ადგა ჭეშმარიტების გზას, იმ გზას, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენ ისტორია. მართალია, ხალხის განვითარება ემორჩილება გარკვეულ კანონებს, მაგრამ სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში ეს კანონები სხვადასხვანაირად მოქმედებენ და ეს დამოკიდებულია პირობების სხვადასხვაობაზე. ხალხის ხასიათი, მისი ზნეჩვეულებანი, ხასიათი მხარისა, სადაც ხალხი ცხოვრობს, ჰავის ადგილობრივი პირობები, ნიადაგის ასეთი თუ ისეთი ნაყოფიერება და მრავალი სხვა აძლევს თავის ხასიათს ზოგადი კანონებს ხალხის ცხოვრებაზე. ამ კუთხეს უცხოვრია ისტორიულად, კულტურულად და სარწმუნოებრივად საქართველოსთან ერთად. ეს ისტორიული სინამდვილეა იმ დროისათვისაც, როდესაც აფხაზებს ეჭირათ მთელი სივრცე შავი ზღვის სანაპიროსი ნიკოპსიითგან — ტულაპსეს ზემოთ — სოტიროპოლამდე (ბიჭვინთამდე — ჯ.გ.). ამ კავშირზე გვეუბნება ჩვენ იმნაირი კულტურული ნაშთების სიმრავლე, როგორნიც არიან: ბიჭვინთა, ლიხინი, პსირცხა, დრანდა, მოქვი და სხვანი. ყველა ეს გვეუბნება, რომ ღრმად იყო ჩაყრილი საძირკველი კულტურულ ერთიანობისა და როგორ გინდათ ახლა გამოუცვალოთ მიმართულება ამ ცხოვრებას, მოაბრუნოთ უკან ისტორიის ჩარხი, შექმნათ ახალი ცხოვრების გზა. ხალხს უყვარს თავისი წარსული, ის ეძებს იქ თავის იდელებს, რადგანაც აწმყო არის შედეგი წარსულისა. ნუ იტყვით, რომ ეს დამღუპველია და ამის ნება არ უნდა მივსცეთ ხალხსაო. ეს მხოლოდ სიტყვები იქნება, რადგანაც ეს ბუნებრივ-ფსიქოლოგიური მოთხოვნილებაა ად-

მიანისა.

შენ გინდა დაანგრიო ძველი საუკუნოების განმავლობაში შექმნილი ტრადიციები, მაგრამ, ოჰ უგუნურება, შენ ანგრევ იმ საფუძველს, რომელიც გაღრმავებულია ხალხის ცხოვრებაში. წარმოვიდგინოთ, მიაღწიე სანადელს, სამაგიეროდ შენ უნდა დაიწყო ახალი საძირკვლის ჩაყრა იმავე სიღრმეში, რომელშიაც იყო ძველი და ხანგრძლივი გონებრივ-სულიერი მუშაობა. ვინ მოგცა შენ ამისი უფლება და ძალა? მგრეველო, მოიფიქრე, შეძლებ აუნაზღაურო ხალხის, რასაც მას ართმევ და რაც მას გაუკეთებია დიდის შრომა-ჯაფით საუკუნოების განმავლობაში? ხალხის მტერია ის, ვინც მოუფიქრებლად ამას ცდილობს. ის დაანგრევს ამ მტკიცე საძირკველს, მაგრამ შეძლებს კი ახლის ჩაყრას და თუ შეიძლება, რამდენი შრომა, რამდენი ჯაფა, რამდენი დრო მოუნდება ამ მუშაობას? განა სასარგებლო იქნება ხალხმა შესწავიტოს კავშირი ძველ კულტურასთან; ის ხალხი, რომელიც უარყოფს ისტორიულ გზას, რომელიც არ იხელმძღვანელებს ისტორიულის გამოცდილებით, რომელსაც არ უნდა ძველი კულტურა, სწვევს მასთან კავშირს, ძნელად შეიძლება გამოვიდეს კულტურულად განვითარების გზაზე, ვერ წავა წინ ჩქარის ნაბიჯით. აი, განსვენებულ გიორგის კარგად ესმოდა ეს. თავის სიცოცხლე მოანდომა ამ ერთობის განმტკიცებისათვის შრომას. საჭიროა მივსდით მის ანდერძს, ძმურათ გაგუწოდოთ ხელი ერთმანეთს, შევერთედეთ და შეერთებული ძალით გამოვიდეთ ჩვენი მომავალი ბედ-იღბლის შესაქმნელად. აქ შეიძლება დამისვთ კითხვა: შენ ჰქადაგებ აფხაზ-ქართველთა საერთო ძველ კულტურის საფუძველზე შეერთებით მოქმედებაზე, მაგრამ რანაირათ უყურებს ეკლესია ამას? რანაირი უნდა იქნეს ეკლესიური ურთიერთობა ხალხთა შორის? არ დაადგება საქართველოს განთავისუფლებული ეკლესია იმ გზას, რომელსაც ადგა ის ეკლესია, რომელიც გაბატონებული იყო აქამდის? არ იქნება იგი გადაგვარების პოლიტიკის მანარმოებელი? შეძლებისდაგვარად ვიძლევი პასუხს. უმთავრესი შინაარსი ქრისტიანულ მოძღვრებისა არის სიყვარული. როდესაც მკვიდრდება კაცთა შორის ქრისტიანული სიყვარული, მყარდება იმნაირი დამოკიდებულება, იმდენათ აერთებს, რომ შეუძლებელი ხდება არსებობდეს მათ შორის სიძულვილი, მტრობა და უთანხმოება. სიყვარული და სარწმუნოება ჰქმნიან სულიერ ერთობას მათ შორისაც კი, რომელნიც შთამომავლობით ერთგომისანი არ არიან. ამისათვის ეკლესიაში შთამომავლობის სხვადასხვაობას არ აქვს მნიშვნელობა, ყველანი თანასწორნი არიან ღვთის წინაშე. თვითოეულ ხალხს აქვს თავისი ზნე-ჩვეულებანი, მიდრეკილებანი, თავისი ნაციონალური ეკლესიური ტრადიციები. არავის არა აქვს უფლება მათ შეეხოს და შეცვალოს, მოსპოს ვითომ იმისათვის, რომ ეკლესიაში დაამკვიდროს ერთიანობა მღვდელმსახურებისა. ეს არ იქნება გამომხატველი სარწმუნოებრივი ერთიანობისა თანასწორთა შორის, არამედ მხოლოდ ადმინისტრაციულია. ნაციონალური განსვავება-

ნი შენახული უნდა იქმნენ. თითოეულ ხალხმა უნდა ადიდოს ღმერთი თავის დედაენაზე. მხოლოდ ის მღვდელმსახურება, ის სწავლა-მოძღვრება მოქმედებს კაცზე, რომელიც სრულდება დედა ენაზე. მხოლოდ მშობლიური სიტყვა ჩასწავდება გულის სიღრმემდის, მხოლოდ ის ახმაურებს მგრძობიარე სიმებს ჩვენის სულისას, აღუძრავს სარწმუნოებას. ამამა, როგორც გუშინაც ვსთქვი, სიმშვენიერე ქრისტეს ეკლესიისა და ამ სიმშვენიერეს აღტაცებაში მოჰყავდა იოანე ოქროპირი. „თუნდაც გაემგზავრო შენ ინდოელებისაკენ, ამბობს იგი, რომელთაც პირველად ეფინება მზის სხივები, თუნდაც გაემგზავრო ოკეანეზე ან ბრიტანიის კუნძულებზე, თუნდაც მოხვდე ევქსინის პონტოზე, თუნდაც მიაღწიო ჩრდილოეთის ქვეყანას, ყველგან გაიგონებ, როგორ ყველანი მსჯელობენ იმაზე, რაც სწერია საღმრთო წერილში, სხვადასხვა ენით, მაგრამ ერთის სარწმუნოებით. ხედავ სიდიადეს სამოთხისას, რომელიც შეიცავს მთელს ქვეყნიერებას“ აი, აქ არის ერთობა მსოფლიო ეკლესიისა და არა სამღვდელმსახურო ენის ერთიანობაში, ეკლესიის უფლებათა ერთიანობაში. ძენი ივერიის ეკლესიისანი მუდამჟამს იყო ამ მიმართულებისა, არასდროს დევნიდა სხვის რწმენას. ისტორია არ გვაძლევს ენის დევნულობის მაგალითებს. პირიქით, აღსანიშნავია ამ მხრივ ფართე თავისუფლება როგორც საერო, ეგრეთვე ეკლესიურ — სარწმუნოებრივ სფეროშიც. ამნაირია ქართველი ერის მიმართულება ახლაც. ამნაირივეა ქართული ეკლესიის მისწრაფება. ის არ ფიქრობს სხვის გადაგვარება-გადაქართველებაზე, ის მუდამ ხელს უწყობს, რომ ყველა ერმა შეინახოს თავისი ეროვნული სახე, თავისი ვინაობა. მოიგონეთ გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა, რომელიც მედგრად მოითხოვდა, რომ სემინარიაში გაეხსნათ აფხაზური ენის კათედრა, მაგრამ...85 მოიგონეთ 1885 წლიდან აქ ყოფილ მღვდელმთავრებში86 — კირიონ ეპისკოპოსი, რომელმაც დაჰკამო გადაგვარების მიმდევართა პოლიტიკა, რომელმაც მტკიცე საძირკველი (ჩაუყარა) აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვისა და საღმრთო წერილის თარგმნის საქმეს87. ამას არ დაივიწყებს აფხაზთა მრავალტანჯული ერი, რომლის მაგიერად მე მუხლი მოვიდრიკე მისი ცხედრის წინაშე; მხოლოდ ეკლესია იბერიისა მოელის, რომ აფხაზეთი არ შესწვევს მასთან სარწმუნოებრივ კავშირს, კავშირს კულტურულს, რის განმტკიცებას ემსახურებოდა განსვენებული გიორგი. შევევედროთ უფალს, განუსვენოს გიორგი სულს წიაღსა შინა აბრაამისასა, ხოლო ჩვენ მოგვცეს უფალმა შეგნება, სურვილ-მისწრაფება მივსდით მის ანდერძს და განვახოციელოთ იგი ცხოვრებაში ქართველთა და აფხაზთა საბედნიეროთ.

1918 წ. 2 სექტემბერი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ამბროსი ხელაიას ფონდი, ს. 18. მოამზადა პროფ. ჯემალ ბამახარია

ჭაბუკი ქოიავა – 50



50 წლისა შესრულდა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჭაბუკი თამაზის ძე ქოიავა.

ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ჭაბუკ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, ქართველი ბავშვების გულთა მესაიდუმლეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 60 წლის-თავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1976 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა თქვენი ლექსები. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეებით. თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, პიესები, ნოველები თუ იუმორესკები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

განსაკუთრებით ის გარემოება გვახარებს, რომ მშვენიერი საბავშვო პოეტი ბრძანდებით. ყმანვითათვის განკუთვნილი თქვენი კრებულები, ისეთები, როგორცაა „ჯინსიანი ფისო“, „ზარმაცის წვეპლა“, „მზე და კახა“, „თხა და სარკე“, „ნასვამი ღორი“ შეიყვარეს თქვენი პოეტური კრებულები „კოლხური ღამის მელოდია“, „მე ვენაცვალე“ და „ტრფობის კაქტუსი“ ერთი მშვენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს პოეტს სამშობლო, როგორ უნდა უფრთხილდებოდეს მის წარსულსა და აწმყოს, რა სათუთად, რა ფაქიზად უნდა უბრუნდეს სულს მის მერმისს ჩვენს საოცრად რთულ, კატაკლიზმებით სავსე ეპოქაში.

არაერთი მშვენიერი საბავშვო ლექსის ავტორი ბრძანდებით, რომლებიც ერთ წიგნად გაერთიანებულა და „საპოვნელა“ უწოდებ. საინტერესო პროზაიკოსი ბრძანდებით. თქვენი რომანი „ქისტა“, ნოველები და მოთხრობები იმის უტყუარი დასტურია, რომ მომავალშიც არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებით გაახარებთ თქვენს კოლეგებსა და მკითხველებს.

თქვენი რჩეული თხზულებანი თარგმნილია უკრაინულ, რუსულ, ბულგარულ და თურქულ ენებზე.

აქტიური საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით და ყველაფერს აკეთებთ საიმისოდ, რათა თქვენს მშობლიურ ქალაქ ფოთში – დიდი ნიკო ნიკოლაძის ხელდებულ ქალაქში აღორძინდეს სალიტერატურო-კულტურული ცხოვრება. თქვენი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსდა ფოთში სალიტერატურო სალონი „თეთრი სხევი“. დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ბრძანდებით სალიტერატურო აღმანახ „ორნატისა“, სოხუმში ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობით საზოგადოებრივი პროფესიების დეკანატს, იყავით ფოთის მე-7 საჯარო სკოლის დირექტორი. სადაც არ იმუშავებთ, ყველგან თქვენი ნათელი კვალი დასტოვებთ როგორც ჭკუმატიკა პროფესიონალმა, ნათელი, ხალასი სულის მქონე პიროვნება.

თქვენი ღვაწლი სულმნათი აკაკი წერეთლის სახელობის პრემიით აღინიშნა. ჩვენო ძვირფასო მეგობარი! კიდევ ერთხელ გულთადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოკალმეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მზია აკოპიძე – 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი მზია შოთას ასული აკოპია-ძაძაძია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალ-

მებაში ნათქვამია: ქალბატონო მზია! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, ქართველი ბავშვების გულთა მესაიდუმლეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 60 წლის-თავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1976 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა თქვენი ლექსები. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეებით. თქვენი ნაწარმოებები – ლექსები, პიესები, ნოველები თუ იუმორესკები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

განსაკუთრებით ის გარემოება გვახარებს, რომ მშვენიერი საბავშვო პოეტი ბრძანდებით. ყმანვითათვის განკუთვნილი თქვენი კრებულები, ისეთები, როგორცაა „ჯინსიანი ფისო“, „ზარმაცის წვეპლა“, „მზე და კახა“, „თხა და სარკე“, „ნასვამი ღორი“ შეიყვარეს თქვენი პოეტური კრებულები „კოლხური ღამის მელოდია“, „მე ვენაცვალე“ და „ტრფობის კაქტუსი“ ერთი მშვენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს პოეტს სამშობლო, როგორ უნდა უფრთხილდებოდეს მის წარსულსა და აწმყოს, რა სათუთად, რა ფაქიზად უნდა უბრუნდეს სულს მის მერმისს ჩვენს საოცრად რთულ, კატაკლიზმებით სავსე ეპოქაში.

მაგალი თოდუა



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მაგალი თოდუა.

მაგალი თოდუა ქართველი ირანისტა სკოლის ერთ-ერთი აღიარებული, უბრწყინვალესი წარმომადგენელი გახლდათ, ბოლო ათწლეულებში კი – ამ სკოლის ლიდერი და წინამძღოლი. მან და მისმა თანამოაზრეებმა ახალი უმნიშვნელოვანესი ფურცელი ჩაწერეს ქართულ-ირანული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში. უფრო მეტიც, მათ ახალი იმპულსები მისცეს ამ ორი, ერთმანეთისადმი ოდესღაც მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ურთიერთობას და ყველას დაანახვეს, რომ მეგობრულ, კეთილმეზობლურ, უაღრესად საჭირო და საქმიან კავშირებს რაოდენ დიდი მნიშვნელობა გააჩნია...

მაგალი თოდუა დაიბადა 1927 წლის 19 იანვარს მარტვილის რაიონის სოფელ ხალხინოში. 1944 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1949 წელს დაასრულა. მას შემდეგ მაგალი თოდუა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. მისი შრომიანი საქმიანობა ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს. 1961 წლამდე იგი თსუ თანამშრომელი გახლდათ, იყო თსუ სპარსული ფილოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი, უფროსი მასწავლებელი და ლექციები კითხულობდა სპარსულ ენასა და ლიტერატურაზე. 1961 წლიდან, როდესაც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, მაგალი თოდუა წლების განმავლობაში იყო ჯერ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, შემდგომ კი – სპარსული ფილოლოგიის განყოფილების გამგე. ამავე დროს მაგალი თოდუა არჩეული იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. მისი დიდი ძალისხმევითა და ინიციატივით დაარსდა გელათის აკადემია, რომლის პირველი პრეზიდენტი თავად იყო. იგი იყო გელათის აკადემიის უფროსის დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი, უფროსი „ქართველოლოგიის“ მთავარი რედაქტორი. ყველგან, სადაც კი იღვანა ამ ჭეშმარიტად ინტელიგენტმა პიროვნებამ, ყველგან ღრმა კვალი გააგდო, როგორც ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულმა დიდმა პროფესიონალმა...

ავთანდილ ჩხაიძე



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი ავთანდილ ნიკოლოზის ძე ჩხაიძე. ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა სამშობლოზე შეყვარებული შემოქმედი, რომელიც პოეზიით და პოეზიისთვის ცოცხლობდა...

ავთანდილ ჩხაიძე დაიბადა 1955 წლის 23 მაისს

პატარებმა, შეიყვარეს გულწრფელობისათვის, უშუალოებისათვის, აზრის სხარტად და ლაკონურად გამოთქმისთვის, ყველაფერ იმისთვის, რაც ნორჩებს სამყაროს აღქმაში ეხმარება, სიკეთის, სიყვარულის, ერთგულების ფასს ასწავლის...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები შეტანილია საბავშვო და ლირიკული პოეზიის ანთოლოგიებში, აგრეთვე სერიალში „საკითხავნი ყმანვითათვის“. ისინი ითარგმნა რუსულ ენაზე. მათზე შეიქმნა სიმღერები. საგულისხმოა, რომ თავიდანვე წეროთ სიმღერებს საკუთარ ლექსებზე, რომლებიც მოწონებით სარგებლობს.

ავტორი ბრძანდებით საყმანვილო პიესების, ნოველების და იუმორესკებისა. არჩეული ბრძანდებით უფროსი „იალქნის“ სარედაქციო კოლეგიისა და საქართველოს ავტორთა საზოგადოების წევრად; მუშაობდით წყალტუბოს რაიონული გაზეთის კორესპონდენტად და თქვენი წვლილიც შეგვიძლია ამ უმშვენიერესი კუთხის წინაშე მდგარი უმწვავესი პრობლემების გაშუქებაში.


დაჯილდოებული ბრძანდებით შოი მღვიმელის პრემიით – უპირველესი ჯილდოთი, რომელზედაც კი საბავშვო მწერალს შეუძლია იოცნებოს.

ჩვენო მზია! კიდევ ერთხელ სიყვარულით მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ნაწინაბრ აფხაზეთში დაბრუნებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რომანი სააკაშვილის შავხნელ ათწლეულზე

მკითხველმა უკვე მილორევაზ მიშველაძის ახალი რომანი „ციყვი ბორბალში“ (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, რედაქტორი სოსო სიგუა – 340 გვ.) ამ რომანში რევაზ მიშველაძე მისთვის ჩვეული მხატვრული



ოსტატობით გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ კამათლებით აბურთავებდა თავისი პრეზიდენტი მოქალაქეთა ბედს.

ნაწარმოები საინტერესო პრობლემატით, მძაფრი სიუჟეტით და მტკიცე კომპოზიციით გამოირჩევა. რომანის ტირაჟის დიდი ნაწილი სწრაფად გაიყიდა. მსურველებს წიგნის შეძენა შეგიძლიათ გამოცემლობის ოფისში. ედემერ მაღალაშვილის ქ. N6. ტელ: 568 105 467

ტი, უფროსი მასწავლებელი და ლექციები კითხულობდა სპარსულ ენასა და ლიტერატურაზე. 1961 წლიდან, როდესაც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, მაგალი თოდუა წლების განმავლობაში იყო ჯერ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, შემდგომ კი – სპარსული ფილოლოგიის განყოფილების გამგე. ამავე დროს მაგალი თოდუა არჩეული იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. მისი დიდი ძალისხმევითა და ინიციატივით დაარსდა გელათის აკადემია, რომლის პირველი პრეზიდენტი თავად იყო. იგი იყო გელათის აკადემიის უფროსის დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი, უფროსი „ქართველოლოგიის“ მთავარი რედაქტორი. ყველგან, სადაც კი იღვანა ამ ჭეშმარიტად ინტელიგენტმა პიროვნებამ, ყველგან ღრმა კვალი გააგდო, როგორც ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულმა დიდმა პროფესიონალმა...

ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას მაგალი თოდუა 1944 წლიდან ეწეოდა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი თარგმანი სპარსული პოეზიისა, სწორედ მდიდარი და ფესვმაგარი სპარსული პოეზია იქცა მისი შთაგონების წყაროდ და მის თარგმნას შუალა მთელი სიცოცხლე.

ქართველი მკითხველი სწორედ მაგალი თოდუას თარგმანებით გაეცნო სპარსული კლასიკური პოეზიის ისეთი კორიფების შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს, როგორიც იყვნენ ფირდოუსი, ომარ ხაიამი, ხაკანი შირვანელი, ფაროხი, შასან ლაზხელი, ნიზამი განჯელი, რუდაქი, შაჰიდ ბალხევი, შაფეზი, დაიყი, მანუჩენკი, ნასერ ხოსროვი, მასჰუდ საად სალმანი, სანა, ანვარი, ათარი, ჯეღალ ედ-დინ რუმი, აიათოლა ჰომეინი. ზოგიერთი მათგანის პოეზია ცალკე წიგნებად გამოცემულა. ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა სპარსული პოეზიის შედევრების ორტომეულის გამოცემა, რომელსაც მაგალი თოდუამ სული და გული ჩააქსოვა.

ამავე დროს მაგალი თოდუა დიდ სამეცნიერო

მოღვაწეობას ეწეოდა ირანისტიკის დარგში. 1954 წელს მონოგრაფიული გამოკვლევებისათვის „გოლესთანის“ მიბაძვანი სპარსულ ლიტერატურაში“ მას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა, ხოლო ნაშრომისათვის – „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია – დოქტორისა (1967 წ.).

სპარსული მწერლობის სპეციალისტთა სამაგლო წიგნებად იქცა მაგალი თოდუას ისეთი გამოკვლევები, როგორცაა „ქართულ-სპარსული ეტიუდები“ (სამ ტომად), „ქილილა და დამანას“, „ვისრამიანი“, „ფირდოუსი და მისი შაჰნამე“...

მაგალი თოდუას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ ბნკარეული თარგმანი სპარსულად, რომელიც შემდეგ ირანელმა პოეტმა იუსეფ ფურმი აამტყვევლა ლექსად. მაგალი თოდუამ პროზაულად თარგმნა ჯამის „იოსები და ზოლიჰა“. პატონმა მაგალიმ გამოსცა მრავალმხრივ საინტერესო წიგნი – „მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში“, რომელმაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

მაგალი თოდუას არაერთი წიგნი ითარგმნა სპარსულ ენაზე. იგი პირველი ქართველი ირანისტი გახლდათ, ვინც ირანის შაჰს მოჰამედ რეზა ფეხლვეის შეხვდა.

ის ფაქტი, რომ თავად ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ მიანიჭა ბატონ მაგალი „მსოფლიოს საუკეთესო ირანისტი“ პრემია, ბევრ რამეზე მეტყველებს.

ამავე დროს მაგალი თოდუას მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემიები, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. არჩეული იყო მარტვილის საპატრიო მოქალაქედ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, მცხოვანი, ამავედარი შემოქმედი და ერისკაცი, რომლის ნათელი სახეა ძალიან დიდხანს დარჩება ქართველი მწერლების სხოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში. 1972 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიზმცოდნეობა-ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1985 წელს დაამთავრა. მას შემდეგ ავთანდილ ჩხაიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „მერანში“, უფროსი „კრიტიკაში“, საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში...

ლიტერატურულ სარბილზე ავთანდილ ჩხაიძე 1974 წელს გამოჩნდა, როდესაც დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. მას შემდეგ მისი ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერი-

ოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა ავთანდილ ჩხაიძის ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „მოლოდინი“ და „სალამობი“. ამ კრებულებში დივიანა გულმტკივანი პოეტის ნააზრევმა, რომელიც ყურადღებას, უპირველესად, გულწრფელობით, სიღრმითა და ძიებებით გამოირჩევა.

ავთანდილ ჩხაიძის კალამს ეკუთვნის პუბლიცისტური სტატიების კრებული „მაცნე მოვიდა შატილსა“, აგრეთვე პიესების ორი კრებული.

ავთანდილ ჩხაიძე ლიტერატურული ბოჰემის უღირსულესი წევრი იყო, ერთგულედა შეეძლო, დიდი სიყვარული და თავდადება მოეყვანისათვის.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ავთანდილ ჩხაიძე, ჩინებული შემოქმედი და ერთგული შვილი საქართველოსა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქართული გზა №6 1 ლაზაო 1-30 იანვარი 2016 მთავარი რედაქტორი სარამაძე სოსო თამაზის თამაზი პასუხისმგებელი მდივანი რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 5ა-4-3098 e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizzagelia@mail.ru